

## თქონიკბო



## **ხათუნა მაისაშვილი**

ასოცირებული პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **მედიასისტემა და ისტორიის გადაფასება გლასნოსტის პერიოდის ქართულ მედიაში - 1989-90 წლები**

მოხსენების მიზანია, ოთხი სხვადასხვა სარედაქციო პოლიტიკის მქონე გაზეთის 158 მედიური ნიმუშის რელაციურ კონტენტანალიზზე დაყრდნობით შეისწავლოს და გაანალიზოს 1989-90 წლების გლასნოსტური პოლიტიკის ქართული თავისებურებები. ტერმინი „ქართული თავისებურებები“ მიემართება: (1) მედიასისტემის სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს და (2) საბჭოთა ისტორიის გადაფასების სპეციფიკურ ნიშან-თვისებებს, როგორც გლასნოსტის ნარატივის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილისა. ამ მახასიათებლების შესწავლა მნიშვნელოვანია რამდენიმე მიმართებით: (1) იგი შესაძლებლობას გვაძლევს, კრიტიკულად გავანალიზოთ და გავამდიდროთ ჰალინისა და მანჩინის მიერ შემუშავებული თეორიულ ჩარჩო პოლიტიკური და მედიასისტემების ურთიერთგანპირობებულობის შესახებ ფორმალურად ჯერ კიდევ ავტორიტარული, მაგრამ არსებითად შერეული ტიპის პოლიტიკურ სისტემაში და (2) მოვახდინოთ მედიის აქტიური როლის აქცენტრირება პოლიტიკური და კულტურული მესხიერების ჩამოყალიბებაში. ვინაიდან ისტორიის გადაფასება გლასნოსტის შინაარსში დღემდე რჩება უპირობო ლიდერ თემად (დროისა და ინტენსივობის მიხედვით) სხვა ტაბუასხნილ თემებთან შედარებით (სასაქონლო დეფიციტის მხილება, ერთპარტიული მმართველობის კრიტიკა და სხვ.)

ისტორიის გადაფასება ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, ეგრეთ წოდებულ ეროვნულ პერიფერიებზე, კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენდა, რადგანაც „პერესტროიკის“ პოლიტიკის კვალად დამდგარმა

ცვლილებებმა გამოიწვია არა მხოლოდ ახალი პოლიტიკური ელიტების შექმნა, არამედ ამ ელიტების მედიურ გამოცემებში ისტორიის გადაფასება აქცია ხვალინდელი დღის, მომავლი ქვაკუთხედად, ანუ პირობითი „გუშინ“ „ხვალად“ აქცია.

კვლევის ძირითადი მიგნებებია: 1) უნიფიცირებული და სეგმენტირებული გლასნოსტის ორი პარადიგმის იდენტიფიკაცია ქართულ პოლიტიკასა და მედიაში; (2) ახალი და ძველი პოლიტიკური ელიტების განწყობების, დამოკიდებულებების განსაზღვრა გლასნოსტის მიმართ; (3) ისტორიის რეინტერპრეტაციის კონსტრუქტის გამოყოფა ისტორიის რევიზიონირების კონსტრუქტისგან.

**იუპა იუნი**

დოქტორი

ბლუმინგენის ინდიანის უნივერსიტეტი, აშშ

**ლაშა ბერიძე**

დოქტორი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

საქართველო

**ალექს გენგი**

დოქტორანტი

ბლუმინგენის ინდიანის უნივერსიტეტი, აშშ

### **მეგა-სპორტული ღონისძიებები მტრული სახელმწიფოთა შორისო ურთიერთობების კონტექსტში**

წინამდებარე კვლევა მიზნად ისახავს, შეისწავლოს მეგა ღონისძიების გავლენა საქართველოს მოქალაქეებში რუსეთის აღქმებზე 2018 წლის ზაფხულში რუსეთში დაგეგმილი FIFA-ს მსოფლიო ჩემპიონატის მაგალითზე. კვლევა იყენებს საერთაშორისო სტერეოტიპის კონცეპტს, რათა იკვლიოს საერთაშორისო სპორტული მეგა-ღონისძიების გავლენა ქართველებში რუსეთის, როგორც ქვეყნის იმიჯის ფორმირებაზე.

სტერეოტიპების კონცეპტი ჯგუფთა შორის ურთიერთობების კონტექსტში ანალოგიურია საერთაშორისო კონტექსტში საერთაშორისო სტერეოტიპების ცნებასთან (Chen et al., 2016). პოლიტიკის მეცნიერებმა დაადგინეს საერთაშორისო ურთიერთობების სამი განზომილება, რომელიც მნიშვნელოვანია სტერეოტიპების ფორმაციაზე (მიზანთა შესაბამისობა/თანხვედრა, შედარებითი ძალაუფლება და შედარებითი კულტურული სტატუსი (Alexander et al., 2005), რომელიც საფუძველს უყრის კოგნიტური სქემების განვითარებას.

კვლევების თანახმად (e.g., Chen, 2010; Cho, 2007), ტურიზმი შესაძლებელია გამოყენებული იქნეს დაძაბულობების შესამცირებლად იმ ერთა შორის, რომლებიც დაპირისპირებულ პოლიტიკურ პოზიციებზე დგანან ან ჩაბმულნი არიან კონფლიქტში. მეგა-სპორტული ღონისძიებები ტურისტების დიდ შემოდინებას იწვევს და ქვეყნები ასეთ ღონისძიებებს ეკონომიკური და სოციალური ბენეფიტების იმედით მასპინძლობენ (Kim et al. 2014). ერთ-ერთი ასეთი ბენეფიტი ქვეყნის იმიჯის კონცეპტს უკავშირდება, რადგანაც იგი საერთაშორისო თანამეგობრობის წინაშე ქვეყნის იმიჯის გაუმჯობესებას ემსახურება. ჩვენ მოვახდინეთ ქვეყნის იმიჯის ადაპტირება, რადგანაც იგი ეფექტურად ასახავს აფექტურ და კოგნიტურ ასპექტებს (Martin & Eroglou, 1993).

რუსულ-ქართული ურთიერთობები ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დაშლამდე გამოირჩეოდა დაძაბულობებით. ქვეყნებს შორის ურთიერთობები განსაკუთრებით გაუარესდა 2008 წლის რუსულ-ქართული ომის დროს. ისტორიული გამოცდილებისა და მოსკოვსა და თბილისს შორის მიმდინარე ურთიერთობების განვითარების გათვალისწინებით, 2018 წელს რუსეთში გასამართი მსოფლიო ჩემპიონატი უნიკალური შესაძლებლობაა დაძაბულ ორმხრივ ურთიერთობათა კონტექსტში მეგა-სპორტული ღონისძიების გავლენის შესაფასებლად.

ქართველებში რუსეთის ქვეყნის იმიჯის ცვლილებაზე დასაკვირვებლად პრე-პოსტ კვლევის მოდელი იქნება ადაპტირებული და გამოყენებული. პრე-გამოკითხვა დაიწყება მსოფლიო ჩემპიონატამდე ერთი თვით ადრე, ხოლო პოსტ-გამოკითხვა ჩატარდება ფინალური მატჩის ჩატარებისთანავე. ამასთან, კვლევა მიზნად ისახავს შეადაროს იმიჯის ცვლილება სხვადასხვა ჯგუფში. კერძოდ, ეს ჯგუფები არიან: სპორტით დაკავებულნი, მედიის მომხმარებლები, რუსეთში ვიზიტის გამოცდილების მქონენი, ჯგუფები ასაკისა და გეოგრაფიული საცხოვრებლის მიხედვით.

კვლევის პოპულაცია საქათველოს მოსახლეობაა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატს მხოლოდ მედია არხების საშუალებით უყურებს. ჩვენ ავიღეთ და გარდავქმენით ალვარესისა და ოკამპოს ქვეყნის იმიჯების ინტერპრეტაცია და 20-დან 2 სუბ-განზომილებაზე (კოგნიტურ და აფექტურზე) დაიყვანეთ იგი.

აღნიშნული ინიციატივა საერთაშორისო ურთიერთობების, ტურიზმისა და სპორტის მართვის სფეროებში დაგროვილ ცოდნას კიდევ უფრო გაამდიდრებს, უნიკალურ კონტექსტში დააკავშირებს რა საერთაშორისო სტერეოტიპების კონცეპტს ქვეყნის იმიჯთან. კვლევის მიზნები შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მნიშვნელოვან გზამკვლევად მეგა-სპორტული ღონისძიებების მასპინძელთათვის მომავალში, რათა შემუშავდეს სტრატეგიული ინიციატივები ისტორიულად ერთმანეთისადმი ანტაგონისტურად განწყობილ მეზობელ ქვეყნებში პოტენციური ვიზიტების წასახალისებლად.





## **აგნეშკა ტომიკი**

დოქტორანტი

ვარშავის უნივერსიტეტი

პოლონეთი

### **მზერა სეპარატისტული აფხაზეთისკენ: დამოკიდებულებები, გამოწვევები და პერსპექტივები**

საქართველოს კონფლიქტი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან XX საუკუნის ადრეულ წლებში იღებს სათავეს. სეპარატისტულ რესპუბლიკებში ეროვნული იდენტობით გამოწვეული მზარდი ეთნიკური დაძაბულობები ორ ომში გადაიზარდა, რომლის შედეგადაც ადრეულ 1990-იანებში ისინი საქართველოს გამოეყვნენ. სეცესიიდან მრავალი წლის შემდეგაც, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ძალზე შორს არიან ნამდვილ დამოუკიდებელ ერთეულებად ჩამოყალიბებისაგან. ეძებენ რა სახელმწიფოდ აღიარებას, ორივე სეცესიონისტური ტერიტორია პოლიტიკურად, ინსტიტუციონალურად, ეკონომიკურად, სამხრედრო თვალსაზრისით თუ სოციალურად რუსეთზეა დამოკიდებული, რომელიც მათ კავკასიაში კრემლის გავლენის ცენტრებად განიხილავს. ამავდროულად, სეცესიონისტური ტერიტორიების ფუნქციონირებამ საქართველოს ხელი შეუშალა ევროკავშირსა და ნატოში გაწევრიანებაში.

2018 წელს ათი წელი შესრულდება სამხრეთ ოსეთში 2008 წლის ომიდან, 2017-ში კი 25 წელი შესრულდა ქართულ აფხაზეთში ომიდან (1992-1993). წინამდებარე ნაშრომის მიზანია გააანალიზოს საქართველოსა და მის სეცესიონისტურ ტერიტორიებს შორის ურთიერთობათა ევოლუცია, ასევე საქართველოს მთავრობის ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისაკენ“ მიმართული ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესებისაკენ. პრეზენტაცია ასევე გაამახვილებს ყურადღებას აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არსებულ

შიდა მდგომარეობაზე, რომელიც, აღონდა, რომ უძრავობით ხასიათდება.

ამ ნაშრომში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმ კვლევის მიგნებებმა, რომელიც ძირითადად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებში 2015 წლის შემოდგომაზე ჩატარდა. გამოკითხვის მიზანი იყო შეესწავლა საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდა თაობის დამოკიდებულება აფხაზეთისა და აფხაზურ-ქართული ურთიერთობების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობენ ეთნიკური აფხაზები და ქართველები გალის რაიონიდან. დისკუსია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დასტაბილურდეს კონფლიქტი კვლავ ღიად რჩება. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა კი კონფლიქტის გადაწყვეტის ისეთი გზის მოძიებაა, რომელიც პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უფლებას.

## **გალერიან მელიქიძე**

ასოცირებული პროფესორი

## **სალომე კობაიძე**

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **საქართველოს განვითარების პერსპექტივები—გლობალური გადმოსახელი**

მოსხენება ეხება მცირე ქვეყნის განვითარების პერსპექტივებს თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში. ამ ქვეყნების განვითარების თავისებურებებს, გარდა ობიექტური ფაქტორებისა, დიდწილად განაპირობებს მთელი რიგი სუბიექტური ფაქტორების, მ.შ. ისეთების, რომელიც დაკავშირებულია ამა თუ იმ ქვეყნის წარმოსახვასთან საერთაშორისო შეფასების სისტემებში. დღესდღეობით ნებისმიერი ქვეყანა წარმოადგენს ასეთი შეფასების სისტემების ობიექტს და განიხილება მრავალრიცხოვანი, ერთ თუ მრავალგანზომილებიანი პარამეტრების ფარგლებში. ასეთი პარამეტრიზაციის უკან შეიძლება იდგეს როგორც ისეთი წამყვანი საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორცაა გაერო, მსოფლიო ბანკი, თუ საერთაშორისო სავალუტო ფონდი, აგრეთვე მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები ან მათი დაჯგუფებები (აშშ, ევროკავშირი). აქვეა ისეთი მნიშვნელოვანი კერძო კომპანიები, მაგალითად Standard & Poor's, Fitch Group, Moody's და ყველაზე მრავალრიცხოვანი საკვლევი ორგანიზაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

პატარა (ზოგჯერ კი დიდისაც) ქვეყნის გადმოსახელიდან ამა თუ იმ სისტემის ფარგლებში მისი მიერ დაკავებული ადგილი ფაქტობრივად მას გარკვეულ *დაღს ახვამს* და უქმნის მასზე წარმოდგენას მასთან

თანამშრომლობით დაინტერესებულ ცალკეულ პირებს, ორგანიზაციებსა თუ ქვეყნებს. უმეტეს შემთხვევაში, ასეთი შეფასებები, მიუხედავად მუდმივი მცდელობისა საკმაოდ სუბიექტურია, ვერ (ან არ) იღებენ მხედველობაში კონკრეტული ქვეყნის განვითარების თავისებურებებს და გვერდიგვერდ განალაგებენ ერთმანეთთან არათავსებად ქვეყნებს. ასე მაგალითად, ერთ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის ოდენობით საქართველო განთავსებულია ტროპიკული აფრიკის სახელმწიფოების გვერდიგვერდ (ან ჩამორჩება კიდევ ზოგიერთ მათგანს), თუმცა მოსახლეობის ფაქტობრივი ცხოვრების ხარისხით მათ მნიშვნელოვნად აღემატება.

პრობლემა ისაა, რომ ნებისმიერი პატარა ქვეყნის ხელისუფლება იძულებულია თავისი განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბების და გატარების პროცესში მხედველობაში მიიღოს ის პარამეტრები, რომლითაც ასეთი ქვეყნის შეფასება და რეიტინგულ სისტემებში განთავსება ხდება, მიუსადაგოს განვითარების გეგმები და პროგრამები ამ პარამეტრებს. შესაბამისად, ხშირად იქმნება გარკვეული *დახურული წრე* – განვითარების პოლიტიკა ითვალისწინებს შეფასების ასეთ პარამეტრებს (ხშირად სუბიექტურს), ხოლო შემდგომი პარამეტრიზაცია ეყრდნობა ასეთი სუბიექტური პარამეტრების საფუძველზე წარმოებულ პოლიტიკას და ა.შ. – *ad infinitum*.

ამის გათვალისწინებით ფრიად მნიშვნელოვანია, ასეთი მრავალრიცხოვანი განვითარების პარამეტრების *გამოხ შირვა* და ისეთი შეფასებების დადგენა, რომელიც შედარებით ობიექტურად ასახავს საქართველოს, როგორც პატარა ქვეყნის განვითარების პრობლემებსა და მოთხოვნილებებს.

## **იულია კანმარეკ-ხუბნია**

დოქტორანტი

პოხნანის ადამ მიცკევიჩის უნივერსიტეტი, პოლონეთი

### **რეგიონული განვითარების ფაქტორები და ბარიერები საქართველოში**

თანმიმდევრული და დაბალანსებული განვითარებისკენ მიმავალი გზის არჩევა თანამედროვე სახელმწიფოთა ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს. აღნიშნული მიზანი შეიძლება მიღწეული იქნეს მხოლოდ ქვეყნის მართვის ყოვლისმომცველი სისტემის ადაპტაციით, ე.ი. იმ აუცილებელი ფაქტორების განხორციელებით, რომლებიც ერთი მხრივ განვითარების<sup>1</sup> გააქტიურებას უწყობს ხელს, მეორე მხრივ კი აღმოფხვრის ბარიერებს<sup>2</sup> ამ პროცესში, როგორცაა რეგიონული უთანასწორობები და სივრცითი კონტრასტები ეკონომიკურ და სოციალურ დონეებზე.

მდგრად განვითარებაზე მომუშავე ქვეყნის მაგალითია საქართველო, რაც გამოიხატებოდა სტრატეგიებისა და პროგრამების დოკუმენტებში (მაგ. *საქართველო 2020*, *საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამა 2015-2017 წლებისათვის*). „რკინის ფარდის“ რღვევა გარდამტეხი მომენტი იყო საქართველოსათვის, რამაც შექმნა

---

<sup>1</sup> განვითარების გამაქტიურებელი ფაქტორები განისაზღვრება, როგორც აქტიური და (გარკვეულწილად) კონტროლირებადი, განსხვავებით დეტერმინანტებისაგან (მდგომარეობებისაგან), რომლებიც წინასწარ არსებულია და ბევრად რთულია მცირე დროში შესაცვლელად (Chojnicki, Czyż 2004).

<sup>2</sup> პროცესის განვითარების ბარიერებად აქ გაგებულია:

1) სპეციფიკური შეზღუდვების არსებობა და/ან

2) მოცემულ ტერიტორიაზე განვითარების გამაქტიურებელი ფაქტორების არარსებობა (Bagdziński, 1994; Chądzyński, 2007).

შესაძლებლობები მისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო კავშირების რეორიენტაციისთვის.

სისტემურ ტრანსფორმაციას დიდი გავლენა ჰქონდა ქვეყნის, როგორც მთლიანად ქვეყნის, ასევე მისი რეგიონების განვითარების პროცესზე. ბეგდინსკისა და მაიკის (1995) მიხედვით, ტრანსფორმაციამ მოიტანა *„რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე ეკონომიკური და სოციალური ურთიერთობების სრული ცვლილება, რაც გამოწვეული იყო რეგიონულ სისტემაში მისი ფუნქციონირების მარეგულირებელი ახალი კრიტერიუმის შემოღებით“*, რამაც სანაცვლოდ *„არაერთი უარყოფითი ფენომენი თუ პროცესი გამოავლინა.“* უმუშევრობის მაღალი დონესთან ერთად გამოვლინდა სივრცითი და ფუნქციური კონფლიქტები და გაიზარდა სოციალური უთანასწორობა (ბეგდინსკი და მაიკი, 1995). საქართველო ასევე ებრძოდა ტრანსფორმაციის სხვა უარყოფით მხარეებსაც: ყოვლისმომცველ კორუფციას, ნეპოტიზმსა და ეთნიკურ კონფლიქტებს, რომლებმაც ქვეყანაში სიტუაციის ფაქტობრივი დესტაბილიზაცია გამოიწვია.

საქართველოს დამოუკიდებლობის მიღწევიდან 26 წლის განმავლობაში არსებული სიტუაციის ანალიზით შესაძლებელია ქვეყნის მართვის ძველი სისტემის უარყოფითი შედეგების (დაბალი სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ხარისხის) მოგვარების მცდელობების დანახვა. აღნიშნულ თემაზე თანამედროვე ლიტერატურის, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების, სამინისტროების სტრატეგიების, პრესის ანგარიშებისა და ავტორის საკუთარი დაკვირვებების მიხედვით საჭიროა დამატებითი ცვლილებები, რომლებიც არსებული, ისტორიულად განსაზღვრული ფაქტორების აღმოფხვრით დააჩქარებს განვითარების პროცესს.

წინამდებარე პრეზენტაციის მიზანია საქართველოს რეგიონების სოციო-ეკონომიკური განვითარების დონეზე გავლენის მქონე მთავარი

ელემენტების იდენტიფიცირება და აღწერა: ერთი მხრივ, წამახალისებელი ფაქტორები, ხოლო მეორე მხრივ - შემაფერხებელი ბარიერები. მომხსენებელი ასევე ისაუბრებს ძლიერი რეგიონული დივერსიფიკაციის საკითხზეც.

## **გიორგი მჭედლიშვილი**

ასოცირებული პროფესორი

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი

საქართველო

### **სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების შეხედულება დასავლეთზე: შედარებითი ანალიზი**

სსრკ-ის დაშლის და დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ, სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო განსხვავებული გზით ვითარდებოდა, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მათი საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. მე შევეცდები ვაჩვენო, რომ (1) საგარეო პოლიტიკა არის ის სფერო, სადაც სამხრეთ კავკასიის სამი სახელმწიფო განსაკუთრებით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, და (2) ზუსტად საგარეო ორიენტაციამ განსაზღვრა შიდაპოლიტიკური განვითარება და ტენდენციები და არა პირიქით, როგორც ხდება ქვეყნების უმეტესობის შემთხვევაში. ეს რადიკალურად განსხვავებული საგარეო პოლიტიკის ტენდენცია შეიძლება ცალსახად მივიჩნიოთ უნიკალურად, თუკი გავითვალისწინებთ სამი ქვეყნის საერთო ისტორიასა და კულტურულ სიახლოვეს. შევეცდები დავამტკიცო, რომ ამ განსხვავებების ძირეული მიზეზი მგდომარეობს იმ ლიდერების პიროვნებებში, რომლებიც ჩაუდგნენ (ან დაბრუნდნენ) ამ სახელმწიფოების სადავეებს. კიდევ ერთი მიზეზი გახლავთ ის, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სულ რამდენიმე წელიწადში რეგიონი გახდა მნიშვნელოვანი ადგილი მსოფლიო გეოპოლიტიკურ რუკაზე - ძირითადად როგორც ენერჯის და სატრანსპორტო დერეფანი.

შევეცდები წარმოგიდგინოთ ის ლოგიკური ჯაჭვი, რომელიც აკავშირებს რეგიონის გეოპოლიტიკურ რეალობებს, ლიდერების პიროვნებებსა და სამი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას და კერძოდ, მათ დამოკიდებულებას დასავლეთისადმი. მე ასევე წარმოგიდგინებ რამოდენიმე შესაძლო სცენარს იმასთან



დაკავშირებით თუ რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ დასავლეთის  
ნაწილობრივ შედარებული იმიჯი რაც შეიძლება მალე გაუმჯობესდეს.

## **სეიფულა რაშიდოვი**

პროფესორი

იზმაილის სახელმწიფო ჰუმანიტარული უნივერსიტეტი

უკრაინა

### **„ისლამური სახელმწიფო“ ჩრდილოეთ კავკასიაში**

2014 წლის 29 ივნისს აბუ ბაქრ ალ-ბადდადმა ერაყში, მოსულის მეჩეთში დაპყრობილ ტერიტორიებზე ხალიფატის შექმნა გამოაცხადა (საკუთარ თავს კი ხალიფა უწოდა), „ერაყისა და ლევანტის ისლამურ სახელმწიფოს“ კი სახელი გადაერქვა და ეწოდა „ისლამური სახელმწიფო“. ჩამოყალიბებიდან გარკვეულ პერიოდში „ისლამურმა სახელმწიფომ“ გაახმოვანა გეგმები რუსეთის ჩრდილო კავკასიის რეგიონთან დაკავშირებით. 2014 წლის 3 სექტემბერს ინტერნეტში გავრცელებულ ვიდეოში ისლამური სახელმწიფოს მებრძოლებმა მიმართეს რუსეთის პრეზიდენტ პუტინს: „ალაჰის ნებით ჩვენ გავათავისუფლებთ ჩეჩნეთსა და მთელ კავკასიას. ისლამური სახელმწიფო არის და იქნება და გაფართოვდება ალაჰის ნებით. თქვენი ტახტი უკვე შეირყა, ის საფრთხეშია და დაეცემა, როგორც კი ჩვენ ჩამოვალთ თქვენთან. ალაჰის ნებით, ჩვენ უკვე თქვენთან მომავალ გზაზე ვართ.“ 2015 წლის ივნისში ისლამური სახელმწიფოს ხალიფა ალ-ბადდადისადმი „კავკასიის ემირატის“ 6-დან 4 პროვინციის - დაღესტნის, ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და ყაბარდო-ბალყარეთის - ლიდერების მიერ მიცემული ფიცის შემდეგ ისლამურმა სახელმწიფომ ჩრდილოეთ კავკასიაში 34 პროვინციის - „ვილაიეთ კავკასიის“ - შექმნა დააანონსა, რითაც სურდა ჯიჰადის გავრცელებაში გლობალური განზომილების შეტანა. ამის საპასუხოდ რუსეთმა გამოაცხადა მზადყოფნა ჩრდილოეთ კავკასიაში სეპარატისტული განწყობების აღმოფხვრისათვის და გააძლიერა კონტრ-ტერორისტული ოპერაციები. დრომ აჩვენა, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მებრძოლების

მცდელობა გაეთავისუფლებინათ ჩეჩნეთი და მთელი კავკასია და შეექმნათ „კავკასიის ვილაიეთი“ რეგიონში წარუმატებლად დასრულდა. ისლამური სახელმწიფოს აქტივობამ ათობით ტერორისტული აქტი გამოიწვია დაღესტანში, ჩეჩნეთში, ინგუშეთსა და სტავროპოლის მხარეში. ამასთან, ისლამურ სახელმწიფოს არ აუღია პასუხისმგებლობა შეიარაღებულ თავდასხმებზე ყარაჩაი-ჩერქეზეთისა და ყაბარდო-ბალყარეთში. 2018 წლიდან „ისლამურმა სახელმწიფომ“ თავდასხმის ობიექტად რელიგიური შენობები შეარჩია და ვილაიეთ კავკასია გროზნოს მიქაელ მთავარანგელოზის მართლმადიდებელ ეკლესიას დაესხა თავს.

ამდენად, სირიისა და ერაყის ტერიტორიებზე „ისლამური სახელმწიფოს“ განადგურების შემდეგაც არსებობს ჩრდილოეთ კავკასიაში ტერორისტული აქტების საფრთხეები „ისლამური სახელმწიფოს“ ყოფილი მებრძოლების მხრიდან.

## **რუსტამ ბეგეულიძე**

პროფესორი

ყარაჩაი-ჩერქეზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსეთი

### **ქართული დიასპორა ყარაჩაი-ჩერქეზეთში: ისტორია და თანამედროვეობა**

ყარაჩაის, ჩერქეზეთსა და საქართველოს შორის ეთნიკური ურთიერთობების სხვადასხვა ფორმა დიდი ხანია არსებობს. როგორც ჩანს, ქართველთა გარკვეული ჯგუფები ჯერ კიდევ შუასაუკუნეების პერიოდიდან ცხოვრობდნენ ზემო ყუბანის რეგიონში, თუმცა ამის სანდო წყაროები ჯერ არაა აღმოჩენილი, გარდა იმ მასალისა, რომლებიც მოწმობენ ქართველების ინკორპორაციას (ადაპტირებას) ყარაჩაულ და სხვა ეთნოსებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, სტაბილური ქართული დიასპორის ფორმირება თანამედროვე ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე შეგვიძლია მივაკუთვნოთ XIX საუკუნის მეორე ნახევარს. ამ დროისათვის სხვადასხვა სოფელში ფუნქციონირებდა მრავალი სავაჭრო ობიექტი, რომელთა მფლობელებიც ქართველები იყვნენ, უმეტესობა - რაჭველები. ბევრი მათგანი მუდმივად ყარაჩაულ სოფლებში ცხოვრობდა და მაგალითად, ლობჟანიძე შევიდა ყარაჩაული ეთნოსის შემადგენლობაში და დღეს ერთ-ერთი ადგილობრივი გვარია.

ქართველი ვაჭრების დიასპორა ყარაჩაიში შენარჩუნდა 1920-იანი წლების ბოლომდე. 1920-იანი წლების ბოლოსა და 1930-იანი წლების დასაწყისის რადიკალური სოციალისტური ტრანსფორმაციისა და საბჭოთა კავშირში კერძო ვაჭრობის ლიკვიდაციის გამო ეს მოსახლეობა, ფაქტიურად, გაქრა. ქართველთა რაოდენობა ყარაჩაი-

ჩერქეზეთში კვლავ შემცირდა, თუმცა დიასპორა შენარჩუნდა. მას წარმოადგენდა ხალხი, რომელიც მუშაობდა სახელმწიფო და სამართალდამცავ სტრუქტურებში, სოფლის მეურნეობაში და ა.შ.

ყარაჩაელების 1943 წლის 2 ნოემბრის დეპორტაციის შემდეგ ყოფილი ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა კლუხორსკის რაიონი, რომელიც შედიოდა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობაში. ამ ტერიტორიაზე დაიწყო საქართველოს მოსახლეობის გადასახლება. ყარაჩაის ავტონომიური ოლქის ყუბანის ხეობაში ძირითადად სვანები სახლდებოდნენ, თებერდას ხეობაში - რაჭველები. რაიონის ადმინისტრაციულ ცენტრში, ქალაქ კლუხორში და მის შემოგარენში კი საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულები სახლობდნენ. ამ პერიოდში ქართველი მოსახლეობის რიცხვმა დღევანდელი ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე თავის მაქსიმუმს მიაღწია.

ყარაჩაელების რეპატრაციისა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის შექმნის შემდეგ ქართველების დიდმა ნაწილმა დატოვა ყოფილი კლუხორის რაიონის ტერიტორია, თუმცა ზოგი ოჯახი დარჩა. ყარაჩაი-ჩერქეზეთის მოსახლეობის ომისშემდგომი აღწერის მიხედვით ქართველების რაოდენობა ავტონომიაში იყო შემდეგი: 1959 წ. - 389 ადამიანი (მთელი მოსახლეობის 0,14%); 1979 წ. - 377 (0.1%); 1989 წ. - 529 (0.13%); 2002 წ. - 556 (0.13%); 2010 წ. - 461 (0.1%).

ომისშემდგომ საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდში ყარაჩაი-ჩერქეზეთის ქართული დიასპორის წარმომადგენლები თითქმის ყველა სფეროში მოღვაწეობდნენ: ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება, ტურიზმი და კურორტები, სამრეწველო წარმოება, სოფლის მეურნეობა და ა.შ. ზოგი მათგანი ადგილობრივი საშუალო და უმაღლესი განათლების სისტემაში მუშაობდა. ამ დროისათვის ქართულ დიასპორას არ ჰქონდა და არ აქვს კომპაქტური დასახლების სახე. ამას გარდა, 1950-2000

წლებში გაიზარდა შერეული ქორწინებების რიცხვი, რამაც ახალ თაობაში ასიმილაციურ პროცესებთან მიგვიყვანა.

2007 წელს იყო ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის ქართული დიასპორის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრების გაცოცხლების მცდელობა. ამ წელს შეიქმნა საზოგადოებრივი ორგანიზაცია „იბერია“. მისი ხელმძღვანელი გახდა მზია კოსაშვილი, ხოლო ხელმძღვანელის მოადგილე - ელზა ბაკურაძე. იგეგმებოდა, რომ ორგანიზაცია ჩაატარებდა ქართული კულტურის დღეებს ყარაჩაი-ჩერქეზეთში, სკოლებში შეიქმნებოდა ქართული ენის კურსები და ა.შ. თუმცა, „იბერიის“ გეგმები ვერ განხორციელდა და 2010 წელს ორგანიზაციამ არსებობა შეწყვიტა.

ამდენად, დღეს ყარაჩაი-ჩერქეზეთის ქართულ დიასპორას არ აქვს თავისი ეროვნულ-კულტურული საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ამას გარდა, ის საკმაოდ დაშლილია, რაზეც მის შიგნით მიმდინარე ეთნოკულტურული პროცესები მეტყველებს.

## **ალექსანდრე კუხიანიძე**

პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **რუსეთი: ლევიათანი, კლექტოკრატია თუ სუპერ მაფია?**

ბევრ პოლიტიკურ სისტემასა და სახელმწიფოში პოლიტიკა, დანაშაული და კორუფცია „დამძობილებული“ მოვლენებია, თუმცა ყველა მათგანი კლექტოკრატია არ არის. რას წარმოადგენს თანამედროვე რუსეთი - ლევიათანს, კლექტოკრატიას თუ მაფიოზურ სახელმწიფოს, როგორც ამაზე ბევრი პოლიტიკური ანალიტიკოსი მიუთითებს? პროფესიონალური და პოლიტიკური ორგანიზებული დანაშაულის, მაფიოზური სახელმწიფოსა და კლექტოკრატის დეფინიციების მოკლე მიმოხილვა ხელს უწყობს რუსეთის დღევანდელი სტატუსის უკეთ გააზრებას. ამ კვლევაში ჩატარებულია პოლიტიკურ-კრიმინალური ურთიერთობების ორი პერიოდის შედარებითი ანალიზი - სტალინიზმისა და პუტინიზმის. ჩართულია იოსებ სტალინის საქმიანობა კავკასიის რეგიონში 1900-იანი წლების დასაწყისში და ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური ორგანიზებული დანაშაულის ფორმა. აგრეთვე, ვლადიმერ პუტინის საქმიანობა სანკტ-პეტერბურგში 1990-იან წლებში და მისი ძალაუფლების კონსოლიდაცია კრემლში.

არის თუ არა რუსეთი სუპერ მაფია, როგორც ამას ამტკიცებს პოლიტიკის მეცნიერი მარკ გალეოტი, ავტორი ახლად გამოსული წიგნის „ქურდები - რუსეთის სუპერ მაფია,“ თუ ეს ქვეყანა წარმოადგენს ტიპურ პოსტ-საბჭოთა კლექტოკრატიას? რა როლს ასრულებს რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია ამ სისტემაში? რატომ შეძლო საქართველომ ანტი-კორუფციული და ანტი-კრიმინალური რეფორმების განხორციელება და რუსეთმა - ვერ? და

ყველაზე მნიშვნელოვანი - წარმოადგენს თუ არა თანამედროვე რუსეთი სერიოზულ მუქარას საერთაშორისო უსაფრთხოებისთვის და შესაძლებელია თუ არა ამ მუქარის ნეიტრალიზაცია?

### **ბორის პორტნოვი**

პროფესორი

ხაიფას უნივერსიტეტი

ისრაელი

### **გეოპოლიტიკური და გარემო რისკ ფაქტორების გავლენა იპოთეკის ვალდებულებების შეუსრულებლობაზე ისრაელში**

ეროვნულ ეკონომიკათა მთავარ კომპონენტს წარმოადგენს უძრავი ქონების ბაზარი, რომელიც ძლიერაა დამოკიდებული საფინანსო ინსტიტუტების მიერ ინდივიდუალური მყიდველებისადმი გაცემულ იპოთეკურ სესხებზე. აღნიშნული ბაზრის დაზიანებამ შესაძლოა მთელი ეკონომიკა მყიფე მდგომარეობაში ჩააგდოს, როგორც მოხდა კიდევ 2008-2009 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს. ამდენად, მნიშვნელოვანია იმ პოტენციური ფაქტორების გამოვლენა, რომლებიც გავლენას ახდენს იპოთეკის დეფოლტზე, რაც წარმოადგენს მსესხებლის უუნარობას იპოთეკის გადასახადი დროულად დაფაროს. ანალიზებს რა იპოთეკის ეროვნული მონაცემთა ბაზის 91537 ჩანაწერს, წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ისრაელში 2010-2011 წლებში იპოთეკის დეფოლტზე გავლენის მქონე მსესხებელთა ინდივიდუალურ მახასიათებლებს, გარემოს დაცვით და უსაფრთხოების ფაქტორებს. კვლევა ყურადღებას ამახვილებს ზოგიერთ გარემოსდაცვით და უშიშროების რისკ ფაქტორებზე: ჰაერის ხუთ დამაბინძურებელზე (NOx, O3, PM10, PM2.5, and SO2), ლიბან-სირიასა და ლახას ტერიტორიებთან სიახლოვესა და 1949 წლის საზავო ხელშეკრულების („მწვანე“) ხაზთან მდებარეობაზე. ამ კვლევაში იპოთეკით დატვირთულ საკუთრებათა გეოგრაფიული მდებარეობა განისაზღვრება 7-ნიშნა ZIP-კოდებით და დაკავშირებული



იყო ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ადგილობრივი სადგურების მონაცემებთან. სხვა ცვლადები გაანგარიშებულია GIS-ს ხელსაწყოთა მიხედვით. ანალიზი ჩატარდა ლოჯისტიკური რეგრესიის გამოყენებით, რომლებშიაც გარემო ფაქტორები, მსესხებელთა ინდივიდუალური მახასიათებლები და საკუთრებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები პრედიკატორად იქნა მიჩნეული. ანალიზმა გამოავლინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შეჭიდულობა იპოთეკის დეფოლტის რისკებსა და ჰაერის დაბინძურების მაჩვენებლებს, დაზას საზღვართან სიახლოვესა და „მწვანე“ ხაზთან მდებარეობის მონაცემებს შორის ( $p < 0.01$ ). ამ შეჭიდულობას იმით ვხსნით, რომ დაბინძურებული ჰაერისაგან დაუცველობამ შესაძლოა გაზარდოს ავადმყოფობა და დაასუსტოს მსესხებლის გადახდისუნარიანობა. ხოლო უსაფრთხოების რისკებმა შესაძლოა შეამციროს უძრავი ქონების მიმზიდველობა ინვესტორებს შორის, რაც ზღუდავს დასაქმების პერსპექტივებსა და ეკონომიკურად შეძლებული მაცხოვრებლების ემიგრაციის გამო ამცირებს აქტივების ღირებულებას.

## **გიორგი კვინიკაძე**

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **გეოეკონომიკის თეორიული საკითხები: აზროვნების ევოლუციის ეტაპები და დისციპლინათშორისი კავშირები**

მსოფლიოს ახალ გლობალურ სისტემაში შეიმჩნევა ახალ აქტორთა და ნეოლოგიზმთა მრავალფეროვნება, როლის ზრდა, რომლებიც ცდილობენ ამ სისტემის არსის გახსნას. სისტემის სპეციფიკა კი ესაა, ეკონომიკური მეთოდები სულ უფრო ხშირად გამოიყენება გეოპოლიტიკური პრობლემების გადასაჭრელად. მსოფლიო შევიდა გეოეკონომიკის ეპოქაში, გადაიქცა რა ეროვნული და საერთაშორისო საქონლისა და მომსახურების განაწილებისა და გადანაწილების ბრძოლის ველად. ამ პირობებში სახელმწიფოთათვის აუცილებელია კარგად გაიაზრონ არსებული რეალობა და თავიანთი საქმიანობა წარმართონ ეკონომიკის სტრატეგიული სექტორების შექმნისა და ხელშეწყობის კუთხით. ეს პროცესი კი აღინიშნება ტერმინით „გეოეკონომიკა“, რომლის თეორიული საფუძვლები XX საუკუნის ბოლოს ჩამოაყალიბა ამერიკელმა მეცნიერმა ედვარდ ლუტვაკმა. თუმცა, დღემდე არაა კონსენსუსი აღნიშნული ნეოლოგიზმის არსთან დაკავშირებით. გეოეკონომიკის პრობლემებზე მომუშავე თითქმის ყველა მეცნიერი ამ ტერმინის ინტერპრეტირებას ახდენენ ისე როგორც მათ ესმით. აღნიშნული კი ართულებს ტერმინ „გეოეკონომიკის“ მეტნაკლებად მისაღებ ფორმულირებას (ეს პრობლემა არ შემოიფარგლება მხოლოდ ტერმინ „გეოეკონომიკის“ დეფინიციით და ვრცელდება სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მეცნიერებების ფართო სპექტრზე). თუმცა, გეოეკონომიური აზროვნების ევოლუციის ანალიზი შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს თანამედროვე გლობალური სისტემის უკეთ გააზრებისათვის. ნაშრომში წარმოადგენს გეოეკონომიკური აზროვნების ევოლუციის ეტაპების

გამოყოფის და ამ ბაზაზე გეოეკონომიკის სუბიექტების განსაზღვრის ერთგვარ მცდელობას. დღეისათვის არსებობს გეოეკონომიკის ხშირად დიამეტრალურად განსხვავებული დეფინიციები, რომლებიც ძალიან განსხვავდება მისი თავდაპირველი ფორმულირებისაგან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი კვლევის ინტერესს წარმოადგენს გეოეკონომიკის საწყისი ფორმულირების ისტორიული ანალიზი. იმის გათვალისწინებით, რომ თეორიული და ემპირიული კვლევები თანამედროვე გეოეკონომიკის სფეროში საკმაოდ მრავალფეროვანია და წარმოდგენილია მრავალი ავტორით, მათი დეტალური ანალიზი აღემატება სტატიის ფორმატს. ამ მიზეზით ჩვენ შემოვიფარგლებით მხოლოდ იმ დისციპლინების ისტორიული ანალიზით, რომელშიც ყველაზე მეტად შესამჩნევია გეოეკონომიკური აზროვნების ელემენტები. კვლევით დადგინდა, რომ გეოეკონომიკის ფორმირების საწყის ეტაპზე საუბარი შეიძლება მხოლოდ გეოეკონომიკურ აზროვნებაზე, რომელიც ასახულია პოლიტიკური ეკონომიისა და ეკონომიკური გეოგრაფიის ევროპულ სკოლებში. მას შემდეგ რაც ლუტვაკმა ხელისუფლებისა და ბაზრის (ბაზრების) ურთიერთდამოკიდებულება (რომელსაც იკლევდა და იკვლევს პოლიტიკური ეკონომია და ეკონომიკური გეოგრაფია) გაამდიდრა სამხედრო სტრატეგიის, კონფლიქტოლოგიის და სახელმწიფო მართვის ელემენტებით, მეოცე საუკუნის მიწურულს ტერმინი „გეოეკონომიკა“ საბოლოოდ დამკვიდრდა მეცნიერულ მიმოქცევაში. ზემოთ აღნიშნული მეცნიერებებისაგან გეოეკონომიკა იმით განსახვავდება, რომ ის არის არა სამეცნიერო დისციპლინა (გეოპოლიტიკის მსგავსად), არამედ წარმოადგენს ცოდნის უახლეს დარგს, რომლის მიზანია სახელმწიფოთა ისეთი უნიკალური საგარეო ეკონომიკური სტრატეგიის შესწავლა, რომელიც ორიენტირებულია უპირატესად ეკონომიკური მეთოდების გამოყენებით უზრუნველყოს საკუთარი ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა და შექმნას მისი

ესპანსიისათვის ხელსაყრელი პირობები გლობალურ და რეგიონულ  
ბაზრებზე.

## **რინარდ უილიამ მასს**

ასისტენტ-პროფესორი

ევანსვილის უნივერსიტეტი

ამერიკის შეერთებული შტატები

### **ანექსია: როგორ შეზღუდა დემოკრატია და ქსენოფობია ამერიკის ტერიტორიული ექსპანსია**

რატომ შეწვიტა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ტერიტორიული ანექსია? ამერიკის ლიდერებმა მოახდინეს ლუიზიანის, ფლორიდის, ტეხასისა და კალიფორნიის დაპყრობა, თუმცა მათ უარი თქვეს კანადის, მექსიკის, კუბისა და დომინიკის რესპუბლიკის ანექსიაზე. ეს პროექტი იკვლევს რატომ გამოიყენეს ამერიკის ლიდერებმა ტერიტორიული ექსპანსიისთვის მხოლოდ ზოგიერთი შესაძლებლობა და უარი თქვეს სხვა შესაძლებლობებზე. ეს კვლევა ეჭვის ქვეშ აყენებს საერთაშორისო ტერიტორიულ ექსპანსიაზე ტრადიციული შეხედულების ადეკვატურობას, რომელიც აქცენტს აკეთებს დაპყრობის მომგებიანობაზე, და სანაცვლოდ ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიული ექსპანსიის უკეთ ასახსნელად საჭიროა შიდა პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინება. უფრო კონკრეტულად, ეს კვლევა ამტკიცებს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოკრატიისა და ქსენოფობიის კომბინაციამ უცხო მოსახლეობის ანექსია გახადა ამერიკის ლიდერთათვის პოლიტიკურად წამგებიანი. ამ თეორიას ვამოწმებ ჩემს წიგნში (წიგნი გამოცემის პროცესშია) მომგებიანობის თეორიასთან მიმართებით, რისთვისაც ვიყენებ ამერიკის ლიდერების გადაწყვეტილებების მიღების პროცესის 23 შემთხვევის ანალიზს პირველად წყაროებზე და საარქივო მასალებზე დაყრდნობით.

## **ეთერ ცინცაძე-მასს**

დოქტორანტი

კენტუკის უნივერსიტეტი

ამერიკის შეერთებული შტატები

### **რეგიონული ჰეგემონები და მათი მეზობლები: ნაციონალიზმის გავლენა საერთაშორისო ურთიერთობებზე**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთსა და მის 14 პოსტ-საბჭოთა მეზობელს შორის განვითარდა სრულიად განსხვავებული ურთიერთობები, დაწყებული მშვიდობიანი თანამშრომლობით და დამთავრებული შეიარაღებული კონფლიქტით. რატომ აღმოჩნდნენ რუსეთთან ასეთ რადიკალურად განსხვავებულ ურთიერთობებში ქვეყნები, რომელთაც მსგავსი გამოცდლება გამოიარეს საბჭოთა მმართველობის პერიოდში და ძალის გადანაწილების თვალსაზრისით, მსგავს ასიმეტრიულ პოზიციაში იმყოფებიან რეგიონალურ ჰეგემონთან მიმართებით? საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები, რომლებიც თვლიან რომ ქვეყნების ქცევა განპირობებულია უმთავრესად ძალთა საერთაშორისო გადანაწილებით, ვერ გვთავაზობენ დამაჯერებელ პასუხს ამ კითხვაზე, რადგან თვლიან, რომ მსგავს საერთაშორისო პირობებში აღმოჩენილი სახელმწიფოები მსგავსად მოიქცევიან.

ეს კვლევა ამტკიცებს, რომ პოსტ-საბჭოთა ქვეყნების საგარეო პოლიტიკისა და რუსეთთან ურთიერთობის მრავალფეროვნება შეიძლება აიხსნას ქვეყნების ნაციონალიზმით, ქვეყნის ფარგლებში გამაერთიანებელი ძლიერი კოლექტიური იდენტობით. შემოთავაზებული თეორიის მიხედვით, თუკი ქვეყნაში განვითარებული ისტორიული მოვლენები, როგორცაა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა ან მეზობელ სახელმწიფოებთან კონფლიქტი კომბინირებულია ინფორმაციის გავრცელების ისეთ მექანიზმებთან როგორცაა საჯარო განათლება და მასმედია, ქვეყნის მოსახლეობა მიდრეკილი იქნება თავი აღიქვას განსაკუთრებულ სოციო-პოლიტიკურ ერთეულად.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს ქვეყნები გამოავლენენ მაღალ პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და მტრულ დამოკიდებულებას რეგიონალური ჰეგემონის მიმართ, რომელიც ახლო წარსულში მათზე დომინირებდა.

თეორის შესამოწმებლად გამოყენებულია კონკრეტული რეგიონის სიდრმისეული ანალიზი, რომელიც მოიცავს რუსეთსა და მის 14 მეზობელ ქვეყანას. ეს კვლევა ნათელს ჰფენს საერთაშორისო ურთიერთობებში ხშირად ნაგულისხმევ, მაგრამ სისტემატურად იშვიათად ნაკვლევ ნაციონალიზმის ეფექტებს და წვლილი შეაქვს ნაციონალიზმის უფრო ნიუანსურ შესწავლაში, რაც შესაძლებელია ნაციონალური მახასიათებლების, ნაციონალური გამოცდილებებისა და ინფორმაციის გავრცელების მექანიზმების ერთმანეთისგან გამიჯვნით.

## **იუსტინა ოლეძკა**

დოქტორი

ვისტულას უნივერსიტეტი

პოლონეთი

### **დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა 1991-2016 წლებში: ცვლილებების თუ სტაგნაციის მეოთხედი საუკუნე?**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სისტემური გარდაქმნების პროცესებმა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა მრავალი პოლიტიკური მოდელის განხორციელებამდე მიიყვანა. სსრკ-ს დაშლის შემდეგ შექმნილ ყველა ქვეყანაში პოლიტიკური სისტემების ტრანსფორმაციის ტრაექტორიაზე საწყისმა დაკვირვებამ ცხადი გახადა, რომ ეს სახელმწიფოები ბუნებრივი გზით ორგვარად განვითარდებოდნენ - ავტორიარიზმისა და დემოკრატიის სცენარებით. სოციალურ-პოლიტიკურ ცვლილებებზე ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პოსტ-საბჭოთა პოლიტიკურ რეჟიმებს თავიანთი ავტონომიური შინაგანი ლოგიკა აქვთ და ამ რეჟიმების მთელი წყება აჩვენებს მრავალფეროვნებას, სპეციფიკურობას, დინამიურობას და განვითარების მრავალგვარ პერსპექტივებს.

ქვეყნების გამოცდილება აჩვენებს, რომ არც დემოკრატიზაცია და არც რეჟიმის ავტორიტარიანულობა არ წარმოადგენს სწორხაზოვან პროცესს. აღნიშნული დასტურდება Freedom House-ის 2017 წლის ანგარიშით, რომელიც „Nations in Transit“ პროექტის ფარგლებში გამოქვეყნდა და სადაც 15 პოსტ-საბჭოთა ქვეყნიდან 8 კონსოლიდირებულ ავტორიტარულ რეჟიმიდაა კლასიფიცირებული, ერთი კლასიფიცირებულია, როგორც ნახევრად კონსოლიდირებული ავტორიტარული რეჟიმი, სამი - ჰიბრიდულ/ტრანზიციულ რეჟიმად. ეს ნიშნავს, რომ კვლევის ავტორთა მიხედვით დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში სრულად დემოკრატიული ქვეყანა



არ გვხვდება. პირიქით, პოლიტიკური რეჟიმების ავტორიტარიზაციის ტენდენციები მტკიცდება. წინამდებარე ნაშრომი წარმოაჩენს მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს იმ ზოგიერთ პოსტ-საბჭოთა ქვეყნაში, რომლებიც 1990-იან წლებში გაერთიანდნენ არამხოლოდ ერთ ორგანიზაციაში, არამედ განიცდიდნენ მომავლის მკაფიო გეგმების ნაკლებობას. თითოეულ პოსტ-საბჭოთა ქვეყანას უნდა გაეაზრებინა თავისი პოლიტიკური და სოციალური სტრუქტურა, რაც ნიშნავდა სიღრმისეული რეფორმების გატარებას. დამოუკიდებლობის პირველ წლებში ყველა ქვეყანამ ავტომატურად დაიწყო პრობლემათა გადაჭრის დასავლური დემოკრატიებისათვის დამახასიათებელი გზების ძიება. ფორმალური და ინსტიტუციური პრობლემების გადაწყვეტის გზების მექანიკურ ადაპტაციას ახალ პოლიტიკურ და გეოპოლიტიკურ სინამდვილესთან, შეეძლო ხელი შეეწყო რეალური სისტემური გარდაქმნებისათვის. თუმცა ეს არ მოხდა, რადგანაც ზოგიერთი ქვეყნისათვის, რომელმაც განვითარების დემოკრატიული გზების განხორციელება და ახალი პოლიტიკური ინსტიტუტების ჩამოყალიბება დაიწყო, ეს პროცესი მხოლოდ იმიტაციას ემსახურებოდა. დემოკრატიული სტრუქტურებისა და მეთოდების საფარქვეშ პოსტ-ნომენკლატურის მიერ ადაპტირებული „საბჭოთა მიდგომები“ კვლავაც კარგად აგრძელებდა ფუნქციონირებას. ამდენად, პოლიტიკურმა სისტემებმა თავდაპირველად გარდაქმნები კრიპტო-ავტორიტარიანიზმისა და ჰიბრიდულობის მიმართულებით დაიწყეს, თუმცა საზოგადოების, ოპოზიციისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან მინიმალური პროტესტის პირობებში, ისინი ავტორიტარულ რეჟიმებად ჩამოყალიბდნენ.

## **გალენტინ ბალუკი**

პროფესორი

მარი კიური-სკლოდოვსკას უნივერსიტეტი

პოლონეთი

### **რუსეთის აგრესია საქართველოს (2008) და უკრაინის (2014)**

#### **წინააღმდეგ. მოკლე შედარებითი ანალიზი**

საერთაშორისო სამართლის თანახმად, რუსეთის ქმედება საქართველოსა (2008) და უკრაინის (2014) წინააღმდეგ ცალსახად უნდა კვალიფიცირდეს აგრესიად. რუსეთის ფედერაციის პოლიტიკა მიმართული იყო ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ, რომლებიც საერთაშორისო სამართლის სრულყოფილებიან სუბიექტებს წარმოადგენენ და აქვთ აღიარებული საზღვრები.

რუსეთის აგრესიული პოლიტიკა არის დემოკრატიის უგულვებელყოფის და წარსულ იმპერიალისტურ პოლიტიკასთან დაბრუნების შედეგი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს რუსეთის პოლიტიკა პოსტსაბჭოთა სივრცის დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებთან მიმართებაში, სადაც ის ორმაგ როლს ასრულებს, კონფლიქტის მხარის და შუამავლის.

მშვიდობის დამყარების საბაბით 2008 წელს რუსეთი დე-ფაქტო აღარმოებდა ომს საქართველოს წინააღმდეგ თავისი გეოპოლიტიკური ინტერესების სარეალიზაციოდ. 2014 წელს უკრაინის ტერიტორიაზე დაბალი ინტენსივობის კონფლიქტების წარმოქმნისა და გამწვავების დროს რუსეთი ნაწილობრივ იყენებდა საქართველოსთან კონფლიქტში მიღებულ გამოცდილებას.

საქართველოსა და უკრაინის წინააღმდეგ საომარი ქმედებების შედეგად აგრესორმა ქვეყანამ ფაქტიურად მოახდინა სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, ყირიმისა და დონეცკისა და ლუგანსკის ოლქების ნაწილის ოკუპირება. მხოლოდ ყირიმის შემთხვევაში მიმართა რუსეთმა პირდაპირ ანექსიას, სხვა შემთხვევებში კი ადგილი ჰქონდა

მოწინააღმდეგე ქვეყნების ტერიტორიის ჰიბრიდულ ანექსიას. საქართველოში ეს მიმდინარეობს „დამოუკიდებელი ქვეყნების“ სახელით, რომლის მაცხოვრებლებს აქვთ რუსეთის მოქალაქეობა. უკრაინის შემთხვევაში, მოცემულ ეტაპზე მოსკოვი ისწრაფვის იმისკენ, რომ კიემა აღიაროს ყირიმის ე.წ. მიერთება და განიხილოს დონეცკი და ლუგანსკი სახალხო რესპუბლიკებად.

რუსეთის პოტენციალის ასიმეტრიულობა ერთი მხრის საქართველოს, ხოლო მეორე მხრივ - უკრაინასთან არ იძლევა რუსეთია აგრესიასა და ოკუპაციასთან მარტო გამკლავების საშუალებას. ამიტომ აგრესიის მსხვერპლი ქვეყნების მიმართ დიპლომატიური, იურიდიული, ეკონომიკური და სამხედრო მხარდაჭერა საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არის ძალიან მნიშვნელოვანი ქმედება საერთაშორისო ნორმების, სუვერენიტეტის პრინციპების, ტერიტორიული მთლიანობის და თავდაცვის უფლების დაცვის გზაზე.

## **თეონა მატარაძე**

ასოცირებული პროფესორი

## **თათია ქართლელიშვილი**

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **სამთამადნო ქალაქების პოსტ-სოციალისტური ტრანსფორმაცია**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები მრავალი გამოწვევის წინაშე აღმოჩნდნენ. ტრანსფორმაციის პირველ ეტაპზე ეკონომიკური, სოციალური თუ პოლიტიკური ცვლილებები მძიმედ აისახა როგორც მოსახლეობის, ისე სოციალური ინსტიტუტებისა და მოლიანად ქვეყნების მდგომარეობაზე. გამონაკლისი არც ქალაქები იყო. საქალაქო ინფრასტრუქტურა მოიშალა და ქალაქში ცხოვრების პირობები გაუარესდა. პოსტსოციალისტური ქვეყნების მკვლევრები (Lang, et al 2015) ტრანსფორმაციაზე საუბრისას მიუთითებენ გეოგრაფიულ დიფერსიფიკაციაზე, რის შედეგადაც პოლარიზაცია მოხდა ცენტრებსა და პერიფერიებს შორის. პერიფერალიზებულ ქალაქთა რიცხვში შეგვიძლია თავისუფლად მოვიაზროთ სოციალისტურ პერიოდში განვითარებული სამთამადნო ქალაქები. საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის პირობებში მნიშვნელოვანი აქცენტი კეთდებოდა ასეთ ქალაქებზე, ისინი ცენტრალური დაქვემდებარებისანი იყვნენ, რაც გულისხმობდა იმას, რომ ქალაქის ინფრასტრუქტურა, მომარაგება და მუშახელის სოციალური უზრუნველყოფა სხვა ქალაქებთან შედარებით უკეთესი იყო. პოსტსოციალისტურ ხანაში, მსგავის ქალაქების პრეფერენციული პოზიციები შესუსტდა. სამთამადნო სამუშაოები, რომლებიც დიდ დანახარჯებთან იყო დაკავშირებული, ხშირად მძიმე ტვირთი იყო

ქვეყნის ბიუჯეტისთვის, ამიტომ სამთამადნო წარმოების მოცულობა შემცირდა ან საერთოდ შეწყდა. შესაბამისად, ქალაქები, რომლის მოსახლეობაც მთლიანად ამ წარმოებაზე იყო დამოკიდებული, ძლიერი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ, დაიწყო მოსახლეობის მასიური გადინება ეკონომიკური შემოსავლის სხვა წყაროს მოძიების მიზნით. სამთამადნო სამუშაოები და მეტალურგია საბჭოთა კავშირისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი იყო და სწორედ ამიტომ იღებოდა ინვესტიციები ასეთ ქალაქებში. (Gentile and Sjöberg, *Intra-Urban Landscapes of Priority: The Soviet Legacy* 2006).

ჩვენი კვლევის ობიექტია საქართველოს ორი მეშახტეთა ქალაქი - ტყიბული და ჭიათურა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ ქვანახშირის მოპოვება პრაქტიკულად შეწყდა და ქვანახშირის გამამდიდრებელი ქარხანა დაინგრა. 2006 წელს წარმოება აღდგა 2 მადაროში და განახლდა ქვანახშირის გამამდიდრებელი ქარხანა. ჯამში თანამშრომელთა რაოდენობა დაახლოებით 1000-ს შეადგენდა.

2005 წელს საქართველოს 4632 საწარმოდან 148 საწარმო იყო ჩართული სამთამადნო სამუშაოებში, რაც საერთო რაოდენობის 3.2% შეადგენდა. ამ 148 საწარმოდან 7 იყო სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო დანარჩენი გახლდათ კერძო. ამავე 2005 წელს წარმოებაში დასაქმებულ 94300 ადამიანიდან 8600 დასაქმებული იყო მადაროებში და შახტებში, რაც 8,6%-ს შეადგენდა. სახელმწიფო საკუთრებაში მყოფ მადაროებში დასაქმებული იყო 5700 და კერძოში 2900 მუშახელი.

ბოლო წლებში მადაროელები რამდენჯერმე იყვნენ გაფიცულნი. ისინი სახელმწიფოს მიერ შრომის პოლიტიკის გადახედვას ითხოვდნენ. დაქირავებულთა აზრით, ტყიბულის მადაროში დასაქმებულთა პირობები უკიდურესად მძიმე და სახიფათოა დასაქმებულთათვის. ასევე, არ მუშაობს სოციალური დაცვა, ჯანდაცვის სისტემა და საგანგებო სიტუაციების სისტემა. სამუშაო გარემო, აღჭურვილობა და

იარაღი, რომელსაც მადაროელები იყენებენ მოძველებული და დაზიანებულია, რაც გარდაცვალების და დაშავების მიზეზად მიიჩნევა.

საქართველოს პროფესიული კავშირისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთობლივი მონაცემებით, სამრეწველო ტრავმების შედეგად, მთელი ქვეყნის მასშტაბით 2007-2016 წლებში 414 ადამიანი დაიღუპა და 716 ადამიანი სერიოზულად დაშავდა. 2016 წელს დაიღუპა 58 ადამიანი და 84 სერიოზულად დაშავდა. 2015 წელს 422 დაიღუპა და 80 დაშავდა. სამწუხაროდ, სიკვდილიანობა 2011 წლიდან დღემდე განუწყვეტლივ იზრდება.

რაც შეეხება მეთოდოლოგიას, ჩვენ გამოვიყენებთ ლიტერატურის მიმოხილვას, დოკუმენტების ანალიზსა და დისკურს-ანალიზს. ლიტერატურის მიმოხილვა მოიაზრებს ძველი და ახალი ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების მიმოხილვას. ლიტერატურის მიმოხილვა შესაძლოა შემდგენიარად დახარისხდეს: სამთამადნო ქალაქების ისტორიული განვითარება; მუშათა მნიშვნელობა, მათი უფლებები და დაცვა; სამთამადნო ქალაქების თანამედროვე მდგომარეობა.

ჩვენ გავაანალიზებთ: შრომის კოდექსს; პროფესიონალი კავშირის სამოქმედო გეგმას; კონტრაქტებს; სტატიებს; დისკურს-ანალიზი მოიაზრებს სტატიების, ბლოგების, სოციალურ ქსელში განთავსებული სტატუსებისა და კომენტარების ანალიზს.

## **ბეატა სურმაჩი**

პროფესორი

მარი კიური-სკლოდოვსკას უნივერსიტეტი

პოლონეთი

### **ქალაქის დიპლომატია**

დიპლომატია საერთაშორისო ვითარების მართვის ერთ-ერთი უძველესი მექანიზმია. იგი ტრადიციულად სახელმწიფოსთან ასოცირდება. თუმცა, თანამედროვე ეპოქაში საერთაშორისო გარემოს ფუნქციონირების პარამეტრები მნიშვნელოვნად შეიცვალა. სახელმწიფოები აღარ წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობებში ჩაბმულ ერთადერთ სუბიექტებს. სახელმწიფოებთან ერთად სუბ-სახელმწიფოებრივი (რეგიონები, ქალაქები), სუპრა-სახელმწიფოებრივი (ევროკავშირი) და არასახელმწიფოებრივი აქტორები გამოვიდნენ ასპარეზზე. სუბ-სახელმწიფოებრივი აქტორები თანამედროვე საერთაშორისო წესრიგში რეპოზიციონირების პროცესს გადიან: ისინი მართვის ობიექტიდან სუბიექტად გადაქცევას ესწრაფვიან. ამ მიზნის მისაღწევად ისინი უფრო და უფრო ხშირად იყენებენ იმ მექანიზმებსა და ინსტრუმენტებს, რომლებიც ბოლო პერიოდამდე სახელმწიფოს პრეროგატივას წარმოადგენდა.

რეგიონულ დიპლომატიაზე ფოკუსირების მიუხედავად, დიპლომატიაში ქალაქების როლზე აკადემიური დისკუსია მწირია. ნაშრომის მიზანია წარმოადგინოს ქალაქის დიპლომატიის ცნება. ავტორის მტკიცებით, ქალაქები მსოფლიო არენაზე მნიშვნელოვან აქტორებად იქცნენ, განავითარეს რა დიპლომატიური აპარატი.





## **მაღბაზ მაცაბერიძე**

პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ერი-სახელმწიფოს კონცეფციის გააზრება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) პერიოდში**

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება საქართველოს როგორც ერი-სახელმწიფოს ფორმირებას ნიშნავდა. თუმცა ამ საკითხის გაცნობიერება მმართველი პოლიტიკური ძალის - სოციალ-დემოკრატიის მიერ მხოლოდ მოგვიანებით მოხდა და სერიოზულ იდეურ ტრანსფორმაციას უკავშირდებოდა ეროვნული საკითხის გააზრების კუთხით.

ამ პერიოდში ე. წ. „პროლეტარული ინტერნაციონალიზმის“ პოზიციიდან ეროვნული ინტერესების დაცვის პოზიციაზე გადასვლას შეიძლება თვალი გავადევნოთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის მრავალი წარმომადგენლის პუბლიკაციებსა და გამოსვლებში. მოხსენებაში გაანალიზებულია საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხისადმი მიძღვნილი გაზეთ „ერთობის“ მოწინავე წერილები 1918 წელს, ასევე ვიქტორ ნოზაძის მიერ 1918 წელს გამოქვეყნებული წერილები გაზეთ „სოციალ-დემოკრატი“ (ქუთაისი). ვიქტორ ნოზაძე ფაქტობრივად პირველი იყო, ვინც შეეცადა საქართველოს, როგორც ერი-სახელმწიფოს, თეორიულ დასაბუთებას. ვიქტორ ნოზაძის წერილი „დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფო - საქართველო“ გამოქვეყნდა გაზეთ „ერთობაში“ 1919 წლის 9 და 11 მარტს, საქართველოს დამფუძნებელი კრების მუშაობის დაწყების (1919 წლის 12 მარტი) წინა დღეებში. მას თან ახლდა შენიშვნა: „ამ წერილების

ზოგიერთ თეორიულ დებულებებს რედაქცია არ იზიარებს”, რაც კიდევ ერთხელ აჩვენებდა საკითხის გააზრების რთულ პროცესს.

თავიდან ქართველი სოციალ-დემოკრატები საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას ფაქტობრივად მიიჩნევდნენ ტაქტიკურ ნაბიჯად და ასეთი პოზიცია ჩანს კიდევ რუსეთის სოციალ-დემოკრატებისათვის გაგზავნილ წერილში (1918 წლის მაისის ბოლო), თუმცა მალე მოხდა ქართველი სოციალ-დემოკრატების გამოჯვანა რუსეთის სოციალ-დემოკრატისაგან და დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული პარტიის შექმნა (1918 წლის ნოემბერი).

საქართველოს როგორც ერი-სახელმწიფოს კონცეფცია თანმიმდევრულად იქნა გატარებული საქართველოს 1921 წელს, კონსტიტუციის შემუშავების დროს. საკონსტიტუციო კომისია ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად მტკიცე ეროვნული სახელმწიფოს შექმნას მიიჩნევდა. „დღეს ჩვენი მოვალეობა არის შევქმნათ მთლიანი, მტკიცე ეროვნული ორგანიზმი და ავიცდინოთ ის მიზეზები, რომლის გამო სუსტდება და ირღვევა იგი”, - აღნიშნავდა საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე პ. საყვარელიძე. სწორედ ერი-სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე უნდა გადაწყვეტილიყო ეროვნულ უმცირესობათა საკითხიც.

საქართველოს როგორც ერი-სახელმწიფოს ფორმირებას მძიმე დარტყმა მიაყენა საქართველოს საბჭოთა ოკუპაციამ, რომლის შედეგებმაც პოსტსაბჭოთა პერიოდშიც იჩინა თავი.

## **სალომე დუნდუა**

ასოცირებული პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის საკითხი ქართულ პოლიტიკაში: სახელისუფლებო დისკურსის ანალიზი**

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველო (ისევე როგორც სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები) სხვადასხვა ფუნდამენტური პრობლემის წინაშე დადგა, იქნებოდა ეს სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ პოლიტიკური პრობლემები. ამ პრობლემათა შორის, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგარეო პოლიტიკური ორიენტირის განსაზღვრა/ჩამოყალიბება და მისი საზოგადოებამდე მართებულად მიწოდება იყო.

1990 წლიდან მოყოლებული დღემდე, ქართულ პოლიტიკურ დისკურსში პრაქტიკულად ერთმანეთის გვერდიგვერდ თანაარსებობს ერთი მხრივ ე.წ. დასავლური, ევროპული და მეორე მხრივ, არადასავლური/რუსული საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის დისკურსები. თითოეული ამ დისკურსის არსებობა/არარსებობას თავისი „გამამართლებელი“ არგუმენტები აქვს და შესაბამისად, წარმოადგენს პასუხს ქვეყნაში არსებულ სხვადასხვა პოლიტიკურ-ტერიტორიულ თუ ეკონომიკურ პრობლემებზე. მოცემული დისკურსები სხვადასხვა სიმწვავეთა და სიხშირით აქტუალური ხდებოდა და ხდება როგორც სახელისუფლებო, ასევე საზოგადოებრივ დონეზე. მოცემული მოხსენების მიზანი არაა საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის კუთხით გადადგმული კონკრეტული ნაბიჯების გაანალიზება. ჩემი კვლევის მიზანი, მოცემულ შემთხვევაში არის სახელისუფლებო დისკურსის ანალიზი საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრის კუთხით. ამ კუთხით, პოლიტიკური ორიენტირისა და შესაბამისი იდენტობის

ფორმირების პროცესში ტექსტი ერთ-ერთი მთავარი საკომუნიკაციო საშუალებაა. შესაბამისად, ხელისუფლების წარმომადგენელთა დისკურსის ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევისწავლოთ თუ რომელ მარკერებზე და როგორ ხდება აქცენტირება საგარეო პოლიტიკური ორიენტირების ჩამოყალიბების პროცესში. ნებისმიერი ტექსტი მომზადებულია აქტორების მიერ და ამდენად, აქტორთა ტექსტს მათი პოლიტიკური მდგომარეობა და თვალთახედვა განსაზღვრავს. ჩემი კვლევის შემთხვევაში ასეთი მნიშვნელობის მატარებელი ტექსტია ქვეყნის პირველი პირების: პრეზიდენტების და პრემიერ მინისტრების მიერ მომზადებული მოხსენებები. ამ აქტორებს, გარდა იმისა, რომ საინტერესო არიან საკვლევად, ნარატივის ფორმირების პროცესში დომინანტური მდგომარეობა უკავიათ, ისინი ფლობენ კომუნიკაციის საშუალებებს და შეუძლიათ საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედება. მოხსენებაში გაანალიზებ დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ საქართველოში ხელისუფლების პირველი პირების (პრეზიდენტები და 2010 წლის საკონსტიტუციო ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ პრემიერ მინისტრების) დისკურსს.

მოცემულ პრეზენტაციაში მთავარი მონაცემი “პოლიტიკური ტექსტია”. ტექსტის დამუშავებისას გათვალისწინებულია, რომ მისი ავტორები, თავისთავად, არ არიან „ობიექტური ცოდნის” მწარმოებლები, არამედ „იყენებენ” ან „ავრცობენ” სოციუმში უკვე არსებულ დისკურსს და განგრძობითად წარმოადგენენ/კვლავ აწარმოებენ მას.

მოცემული კვლევისთვის ემპირიული მონაცემები აღებულია საქართველოს პრეზიდენტებისა და პრემიერ მინისტრების გამოსვლათა ტექსტებიდან, რომლის ადრესატი საზოგადოებაა. ინფორმაციის წყაროდ აღებული გვაქვს საქართველოს პრეზიდენტების და პრემიერ მინისტრების გამოსვლების ანალიზისთვის საქართველოს ბეჭდვით მედიასა და ინტერნეტ წყაროებში გამოქვეყნებული სიტყვები, ინტერვიუები, ოფიციალური განცხადებები და წინასაარჩევნო პლატფორმები. ასევე, საქართველოს პრეზიდენტის, გიორგი

მარგველაშვილისა და პრემიერ მინისტრის, გიორგი კვიციანიშვილის ვებგვერდებზე გამოქვეყნებული ოფიციალური მასალები.

საქართველოს ცალკეული პრეზიდენტების პოლიტიკური პრიორიტეტებისა და მათ მიერ გატარებული პოლიტიკის შესახებ არაერთხელ თქმულა და დაწერილა, თუმცა, მოცემულ პრეზენტაციაში დისკურს-ანალიზის ჩატარების გზით, ერთიან ჭრილში იქნება გააზრებული საქართველოს ყველა პრეზიდენტისა და პრემიერ მინისტრის სახელისუფლებო დისკურსი კონკრეტულად საგარეო პოლიტიკური ორიენტაციის კუთხით და, შესაბამისად, ნაჩვენები იქნება მოცემული მარკერების ტრანსფორმირება.

## **გალერიან დოლიძე**

ასისტენტ-პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **კომუნიზმიდან გამოსვლის ეტაპები და პოლიტიკური ცვლილებები საქართველოში**

მოსხენებაში გაანალიზებულია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებების კავშირი საზოგადოებრივ ცვლილებებთან. ავტორის აზრით, რეალური სოციალიზმი წარმოიშვა და არსებობდა, როგორც საბჭოთა პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების შედეგი. ამიტომ კომუნიზმიდან გამოსვლა უპირველეს ყოვლისა საჭიროებდა ისეთი პოლიტიკური ცვლილებების განხორციელებას, რომელიც გამოიწვევდა არსებული პოლიტიკური სისტემის დაშლას. ამისათვის საჭირო პირობები თავად საბჭოთა საზოგადოების ფუნქციონირების შედეგად მწიფდებოდა, რამაც საბოლოო ჯამში გამოიწვია საბჭოთა პოლიტიკური სისტემის კრახი. ავტორის აზრით, საქართველოს გამოსვლის პროცესი კომუნიზმიდან რამდენიმე სტადიის გავლით წარმართა: 1. პოსტკომუნიზმზე გადასვლის მოსამზადებელი სტადია, რომელსაც შეიძლება პოსტკომუნიზმის საინკუბაციო პერიოდც ეწოდოს; 2. პოსტკომუნიზმის დასაწყისი; 3. პოსტკომუნიზმის განვითარებული სტადია; 4. პოსტკომუნიზმის დასასრული. მოსამზადებლო ეტაპი ეს არის პოსტკომუნიზმის ინკუბაციის პერიოდი, როდესაც მიმდინარეობს საბჭოთა საზოგადოების ლატენტური დაშლის პროცესი. ამ დროს საბჭოთა სისტემა კარგავს ლეგიტიმურობას, იქმნება ისეთი სიტუაცია, როდესაც მასებს ძველებურად აღარ შეუძლიათ ცხოვრება, ხოლო ზედა ფენებს კი ძველებურად მართვა. ყოველივე ეს ვლინდება საბჭოთა კლასობრივი სისტემის რღვევაში, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასობრივ გავრცელებასა და მის ლეგიტიმაციაში, ნაციონალიზმის გაძლიერებაში, საზოგადოებრივი ურთიერთობების კომერციალიზაციაში, პოლიტიკური სისტემის დეინსტიტუციონალიზაციაში. ხელისუფლებაში გამსახურდიას

მოსვლის შედეგად საქართველო გადადის პოსტკომუნიზმის საწყის სტადიაზე. ამ დროს იწყება საბჭოთა სახელმწიფოს მსხვრევა და მისი დესოვეტიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ განხორციელდა მთელი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების გარდაქმნა ნაციონალიზმის პრინციპებზე, საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ-კლასობრივ სტრუქტურას კარდინალური ცვლილებები არ განუცდია. გამსახურდიას მოსვლა ხელისუფლებაში შეიძლება შეფასდეს, როგორც ეროვნული რევოლუცია. პოსტკომუნიზმის განვითარებული სტადია იწყება შევარდნადის ლიბერალიზებული ავტორიტარიზმის დამყარებით. ამ დროს ღრმადდება საზოგადოების გარდაქმნის პროცესი ლიბერალიზმისა და ინდივიდუალიზმის საფუძვლებზე, იცვლება საზოგადოების სტრატეგიკაციური სისტემა, რომლის წყაროსაც წარმოადგენს აღმავალი და დაღმავალი სოციალური გადაადგილებების ონტენსიფიკაცია, ინტენსიურად მიმდინარეობს ახალი სახელმწიფო მანქანის მშენებლობა. შევარდნადის მართველობის ბოლოს ხდება საქართველოს ხანმოკლე გადასვლა დემოკრატიზაციაზე, რომელსაც წერტილს უსვამს ე. წ. “ვარდების რევოლუცია”. სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის პირობებში მთავრდება პოსტკომუნიზმი საქართველოში. ამ დროს დასრულდა სახელმწიფო მანქანის მშენებლობა და გაძლიერდა სახელმწიფოს პოტენციური განვითარების დემოკრატიული ვექტორის დასუსტების ხარჯზე. 2012 წლის არჩევნების შედეგად საქართველო კვლავ დაუბრუნდა დემოკრატიზაციას, რომელიც გადაიზარდა არაკონსოლიდირებულ დემოკრატიაში.

## **ნათია ზედგინიძე**

ასისტენტ-მკვლევარი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **პარტიული ქცევის ეთიკური კოდექსის შემუშავების მცდელობები საქართველოში**

დემოკრატიის ფუნქციონირება თანამედროვე სამყაროში არსებითად დაკავშირებულია პოლიტიკური პარტიების არსებობასა და ქმედუნარიანობასთან. დასავლურ დემოკრატიებში, სადაც პოლიტიკური კულტურისა და სამოქალაქო ცნობიერების მაღალი დონეა, ქცევის ეთიკურ-სამართლებრივი განზომილება დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის ქვაკუთხედად მიიჩნევა. ევროსაბჭო ჯერ კიდევ 1999 წლიდან მოუწოდებს, როგორც წევრ ისე პარტნიორ სახელმწიფოებს, ქცევის ეთიკური კოდექსები შეიმუშავონ ხელისუფლების ყველა შტოსა და დონეზე, რაც ხელს შეუწყობს დემოკრატიული პროცესის სიჯანსაღეს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოში, რომელიც ისწრაფვის შექმნას დასავლური ტიპის დემოკრატია, აუცილებელია, პარტიული ქცევის ეთიკური კოდექსის შემუშავება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სამართლიან და ჯანსაღ პოლიტიკურ პროცესს. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, საქართველოში წინასაარჩევნოდ პოლიტიკურ პარტიათა შორის ბრძოლა არსებითად ხელისუფლების მოხელეთებისთვის ბრძოლაა, პოლიტიკური პარტიები ცდილობენ ამომრჩევლის მოსყიდვას, ხშირად მიმართავენ ძალადობრივ მეთოდებს, რითიც რეალურად უგულებელყოფენ არა მხოლოდ კონკურენტი პოლიტიკური პარტიის ღირებულებებისა და პლურალიზმის მნიშვნელობას, როგორც სახელმწიფოს განვითარებისათვის აუცილებელ პირობას, არამედ უპირველეს ყოვლისა, უგულებელყოფენ ამა თუ იმ პარტიის უკან მდგარი



საზოგადოების ნაწილის ნებას, რაც ეთიკისა და სამართლიანობის ფარგლებიდან გადის და ხელს უშლის არამხოლოდ პოლიტიკური პროცესის სტაბილურობას, არამედ დემოკრატიას ურყევს არსებობის საფუძველს. ამგვარი ვითარების მიუღებლობა პოლიტიკურ პარტიებსაც ესმით და „პარტიული ქცევის ეთიკური კოდექსის“ შემუშავების საკითხი აქტუალობას იძენს წინასაარჩევნო პერიოდში. სტატიის მიზანია, გამოიკვლიოს პარტიული ქცევის ეთიკური კოდექსის შემუშავების მცდელობანი წინასაარჩევნო პერიოდებში დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე. მიუხედავად არაერთი მცდელობისა, ვერ მოხერხდა ყველა პოლიტიკური ძალისათვის მისაღები „პარტიული ქცევის ეთიკური კოდექსის“ შემუშავება, დამკვიდრება და სამართლებრივი და ზნეობრივ-მორალური გარემოს შექმნა, სადაც პოლიტიკურ პარტიებს შორის იქნებოდა ჯანსაღი კონკურენცია ეთიკურ გარემოში. კონსტიტუციით დელეგირებული უფლებები, რომლებიც გააჩნიათ პოლიტიკურ პარტიებსა და სახელმწიფო იერარქიაში მყოფ პიროვნებებს არ არის თანაზომიერი მათი პოლიტიკური პასუხისმგებლობისა და მხოლოდ დეკლარირებული ხასიათი აქვს. პოლიტიკური პროცესის ეთიკურ-სამართლებრივი გარემო გულისხმობს კეთილსინდისიერ მიდგომებსა და გაცნობიერებულ პასუხისმგებლობის გრძნობას არამხოლოდ უშუალოდ საკანონმდებლო ორგანოში პარტიების მოხვედრისას, არამედ მნიშვნელოვანია ის გზაც, რომელსაც გადის პარტია საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრამდე. იგულისხმება არჩევნების პროცესი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პარტია, რომელიც უგულვებელყოფს ძალაუფლების მოპოვების პროცესში ზნეობრივ-მორალურ და სამართლებრივ პრინციპებს, ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ იმავე არასამართლებრივ და არაეთიკური განზომილების ფარგლებში იმოქმედებს ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე. პოლიტიკური პროცესის დაცლა კეთილსინდისიერი მიდგომებისა და პასუხისმგებლობისგან ხელს უწყობს ნიჰილიზმს, კომფორმიზმსა და უსამართლო გარემოს. ასეთ შემთხვევაში აზრი ეკარგება

საზოგადოებრივი თანამშრომლობისა და სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას, დემოკრატიულ ღირებულებებს.

მოსხენების მიზანია გამოიკვლიოს საქართველოში პარტიული ქცევის ეთიკური კოდექსის შემუშავების მცდელობანი წინასაარჩევნო პერიოდებში. თუ რა მნიშვნელობა აქვს კეთილსინდისიერ, მორალურ-ეთიკურ განზომილებას პოლიტიკაში სამართლებრივი, დემოკრატიული და თავისუფალი სახელმწიფოს მდგრადი განვითარებისთვის. მოცემულ საკითხზე ქართულ პოლიტიკურ დისკურსში სამეცნიერო ლიტერატურა არ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ დასმული პრობლემა დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების გზაზე სასიცოცხლო მნიშვნელობისაა. კვლევის მეთოდად გამოყენებულია პირისპირი ინტერვიუ, როგორც პოლიტიკურ პარტიებთან, ისე ექსპერტებთან. ასევე კონტენტ-ანალიზის მეთოდი.

## **გლადიმერ ნაფეტვარიძე**

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **კიბერ უსაფრთხოება - ელექტრონული მმართველობის ქვაკუთხედი**

ელექტრონული მმართველობა წარმოადგენს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციის თანამედროვე მეთოდს. აღნიშნული კავშირი ხორციელდება ინტერნეტის გამოყენებით, რაც მმართველობის პროცესს კიდევ უფრო ეფექტურს ხდის.

დემოკრატიული მმართველობის უმთავრეს მახასიათებლებს წარმოადგენს ღია და გამჭვირვალე პროცესები, რომელშიც საზოგადოების ჩართულობა არის უზრუნველყოფილი. ელექტრონული მმართველობის პირობებში, მოსახლეობას აქვს საშუალება ინტერნეტის მეშვეობით ჩაებას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული სფერო სიახლეს წარმოადგენს, ჯერ კიდევ მიმდინარეობს მისი დახვეწა და გაუმჯობესება. დღითიდღე იზრდება ინტერნეტის შესაძლებლობები და შესაბამისად, მისი მნიშვნელობა მსოფლიოსთვის.

ელექტრონული მმართველობის განვითარება ხელს უწყობს დემოკრატიული მმართველობის განვითარებას. გამომდინარე იქიდან, რომ მსოფლიო სახელმწიფოების უმრავლესობა ცდილობს დაამკვიდროს ციფრული მმართველობა, საკითხი დიდ მნიშვნელობას იძენს. ამაზე მეტყველებს ელ-მმართველობის სისტემატიური კვლევებიც, რომელსაც სხვადასხვა ავტორიტეტული ორგანიზაცია ატარებდა. მათ შორის, გამოსარჩევია გაეროს კვლევა, რომელიც განსაზღვრავს ხსენებული სერვისის მაჩვენებელს 193 ქვეყანაში და მიღებული შედეგების მიხედვით ადგენს რეიტინგს. კვლევის მნიშვნელობას მისი უწყვეტი ხასიათით ზრდის, რადგან გამომდინარე იქიდან, რომ ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ხდება ახალი შედეგების

წარდგენა, შესაძლებელი ხდება ელ-მმართველობის განვითარების დინამიკის შეფასება სხვადასხვა ქვეყანაში. ქართული საზოგადოების ჩართულობის თავისებურების დასადგენად, სწორედ ეს მონაცემი იქნება გამოყენებული.

ელექტრონული მმართველობის პოპულარულობის ზრდა, განპირობებულია იმ თანამედროვე შესაძლებლობებით, რაც ინტერნეტის განვითარებამ მოუტანა კაცობრიობას. ვირტუალური სივრცე საზოგადოებისთვის სხვადასხვა პოლიტიკურ თუ სოციალურ პროცესებში ჩართვის უმთავრეს ხელსაწყოდ იქცა. გარდა იმ პორტალებისა, რასაც ხელისუფლება სთავაზობს მოქალაქეებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოსახდენად, აქტიური მოქალაქეები თავადაც ქმნიან პლატფორმებს, სადაც ხდება სამოქალაქო საზოგადოების მობილიზება და ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის გარშემო გაერთიანება.

სახელმწიფოში ელექტრონული მმართველობის დანერგვისთვის საჭიროა რამდენიმე ძირითადი ასპექტის არსებობა. პირველ რიგში აუცილებელია არსებობდეს მთავრობის პოლიტიკური ნება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ელექტრონული სერვისების დანერგვა. ასევე აუცილებელი ფაქტორია ICT ინფრასტრუქტურის არსებობა, რადგან იმ შემთხვევაში თუ მოქალაქეებს არ ექნებათ წვდომა ინტერნეტთან, ისინი ვერ შეძლებენ ისარგებლონ სამთავრობო ელექტრონული პორტალებით. შემდეგი და უმთავრესი ასპექტი, ეს არის მოქალაქეთა მზაობა. ეს კრიტერიუმი მოიცავს მოქალაქეთა ინფორმირებულობას და მაღალ ცნობიერებას ელექტრონული სერვისების მიმართ. იმისთვის, რომ საზოგადოებამ გამოეყენოს შეთავაზებული ელექტრონული სერვისები, საჭიროა მათ გააჩნდეთ ინფორმაცია და ნდობა ციფრული ტექნოლოგიების მიმართ. ნდობას კი თავის მხრივ განაპირობებს საიმედო კიბერუსაფრთხოება.

მოცემული ნაშრომის მიზანი, ისაა, რომ წარმოადგინოს კიბერუსაფრთხოების როლი, ელექტრონული მმართველობის დანერგვის

პროცესში, მოხდეს განხილვა იმ შემთხვევების, როდესაც ადგილი ჰქონდა ქართული სამთავრობო პორტალების მწყობრიდან გამოსვლას და თუ რა გავლენას ახდენს მსგავსი ფაქტები მოქალაქეთა განწყობის ცვლილებაზე.

## **ეკა დარბაიძე**

დოქტორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილი პროგრამების გენდერული ანალიზი**

პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის უფლება ადამიანის ერთ-ერთ ფუნდამენტურ უფლებათაგანია, ხოლო გენდერული ბალანსის არსებობა წარმომადგენლობით ორგანოებში დემოკრატიის ძირითად პრინციპს წარმოადგენს. ქალთა ჩართულობა ერთნაირად პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს, როგორც განვითარებადი დემოკრატიის ქვეყნებში, ასევე კონსოლიდირებულ დემოკრატიებშიც. მთელი მსოფლიოს მასშტაბით, სხვადასხვა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ დონეზე, ქალები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი გადაწყვეტილების მიმღებ დონეებზე და შესაბამისად, მოწყვეტილნი არიან პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, თუმცა განვითარებულ ქვეყნებში არსებული მაღალი პოლიტიკური კულტურა, დახვეწილი საარჩევნო კანონმდებლობა და ხელისუფლების მხრიდან გადადგმული რეალური ხელისშემწყობი ნაბიჯები, ამ პრობლემებს გარკვეულწილად ამსუბუქებს.

მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლებში ხელისუფლებისა და სამოქალაქო სექტორის ერთობლივი ძალისხმევით გადაიდგა პოზიტიური ნაბიჯები ქალთა პოლიტიკური წარმომადგენლობის უზრუნველსაყოფად და შემუშავებული იქნა წამახალისებელი ფინანსური ნორმა პოლიტიკური პარტიებისათვის, სამწუხაროდ, ქალთა წარმომადგენლობა ქვეყნის ადგილობრივ მმართველობით დონეზე კვლავაც მნიშვნელოვნად დაბალი აღმოჩნდა. ადგილობრივ თვითმმართველობებში მათი მაჩვენებელი 13 %-ს არ აღემატება,

ქვეყნის მასშტაბით 9 გუბერნატორიდან არც ერთი არ არის ქალი, 64 მერიდან კი მხოლოდ ერთია ქალი.

ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის 52%-ს ქალები წარმოადგენენ, მათი, როგორც მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესები ადეკვატურად უნდა იყოს ასახული არა მხოლოდ ქართული პოლიტიკური პარტიების პროგრამებში, არამედ ისინი სათანადოდ უნდა იყვნენ წარმოდგენილნი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. სწორედ ამიტომ, საინტერესოა იმის შესწავლა და დადგენა, თუ რამდენად იყო გაწერილი ქალი ამომრჩევლებისათვის საინტერესო საკითხები საარჩევნო სუბიექტების მიერ წარმოდგენილ პლატფორმებში და რამდენად პასუხობდნენ აღნიშნული პროგრამები ქალთა საჭიროებებსა და მოლოდინებს.

## **მანონ ბოკუჩავა**

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ოკუპირებული რეგიონების მედია**

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო 25 წელია ვერ ახორციელებს კონტროლს ოკუპირებულ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში (ცხინვალი), აღნიშნულ რეგიონებში ცხოვრება გრძელდება. ოკუპირებულ რეგიონებში მყოფი პირები, ქმნიან საზოგადოებრივ აზრს, უყალიბდებთ ღირებულებები, რომელიც დამახსიათებელია უნიკალურად, მხოლოდ მათი საზოგადოებისთვის.

თანამედროვე სამყაროში, სადაც არსებობს ინტერნეტი, არსებობს შესაძლებლობა დაეაკვირდეთ ოკუპირებული რეგიონების საზოგადოების განვითარებას - მათი იმედი იმ გზავნილების შესწავლისა.

კვლევის საკითხი, რომელზეც მოხსენას წარმოგიდგენთ, არის ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის რუსულენოვანი ადგილობრივი მედიის სარედაქციო პოლიტიკა, შემდეგ საკითხებთან მიმართებით: საქართველოს თემატიკა; რუსეთის თემატიკა; საერთაშორისო ორგანიზაციებთან (ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი, ევროკავშირი, ეუთო, გაერო) დაკავშირებული საკითხების გაშუქება; პოლიტიკური საკითხების გაშუქება; რელიგიური, სექსუალური, ეთნიკური უმცირესობების გაშუქება; ქალთა უფლებები - გენდერული თანასწორობის საკითხების გაშუქება; კვლევის მიზანია ოკუპირებული რეგიონების მედიის ძირითადი მახასიათებლების გამოვლენა. მეორე მიზანს კი წარმოადგენს, კვლევის მიგნებების მიხედვით (აგრეთვე, სტატიებზე მკითხველების გამოხმაურებებით) გავაანალიზო, როგორი საზოგადოებრივი აზრის ფორმირება შეუძლია მედიის მსგავს სარედაქციო პოლიტიკას.



ჰიპოთეზები: ოკუპირებული რეგიონების რუსულენოვანი მედია მტრის ხატს ქმნის საქართველოსგან; ნეგატიურ (მიკერძოებულად) აშუქებს საქართველოსთან დაკავშირებულ ყველა თემატიკის საკითხს; ოკუპირებული რეგიონების რუსულენოვანი მედია მეგობარი სახელმწიფოს ხატს ქმნის რუსეთისგან; პოზიტიურად (მიკერძოებულად) აშუქებს რუსეთთან დაკავშირებულს ყველა საკითხს; ოკუპირებული რეგიონების რუსულენოვანი მედია ნეგატიურ (მიკერძოებულად) აშუქებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან დაკავშირებულ საკითხებს; საზოგადოებას მათ მიმართ უნდობლობას უღვივებს; პოლიტიკური საკითხების გააშუქება ხდება ჟურნალისტური სტანდარტების უგულვებელყოფით.

მედია ემსახურება არაპოლიტიკური საკითხების ობიექტურ გააშუქებას, არამედ ოკუპირებულ რეგიონში არსებული ე.წ. სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის გამყარებას; რელიგიური, სექსუალური, ეთნიკური უმცირესობების გააშუქება ამ ტიპის მედიაში ხდება დისკრიმინაციულად; მედია არაა ადამიანის ფუნდამენტური უფლებების სადარაჯოზე; გენდერულ თანასწორობის საკითხები შუქდება ჟურნალისტური სტანდარტების დარღვევით. კვლევა შესრულდება პოლიტიკური პროპაგანდის, ფრეიმინგის და პრაიმინგის თეორიის გამოყენებით. ოკუპირებული რეგიონების მედიის ნამუშევრებს გავაანალიზებ კონტენტ ანალიზის მეთოდით. საკვლევი ობიექტები: [Apsny.ru](http://Apsny.ru), [asarkia.info](http://asarkia.info), [abkhaziform.com](http://abkhaziform.com), [apsnypress.ru](http://apsnypress.ru), [sputnik-abkhazia.ru](http://sputnik-abkhazia.ru), [apsnypress.info](http://apsnypress.info), [Sputh.ossetia.info](http://Sputh.ossetia.info); [osinform.org](http://osinform.org); [sputkin-ossetia.ru](http://sputkin-ossetia.ru), [mc-ir.ru](http://mc-ir.ru); კვლევის პერიოდი: 2018 წლის იანვარი, თებერვალი, მარტი.

კვლევა მნიშვნელოვანია როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ასევე საერთაშორისო საზოგადოებისთვის, რადგან აფხაზეთის და სამხრეთ-ოსეთის გარდა მსოფლიოში უამრავი კონფლიქტური რეგიონია. მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა როლი აქვს მედიას კონფლიქტური საზოგადოებების შეხედულებების ფორმირებაში და როგორ შეიძლება მისი გამოყენება მშვიდობის მშენებლობაში.

## **თინათინ მაჭარაშვილი**

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **„ციხის სკანდალის“ ასახვა თანამედროვე ქართული ბეჭდვითი მედიის ვიზუალურ შემადგენელში**

ჩვენი მოხსენების მიზანია, წარმოვაჩინოთ, თუ როგორ ხდებოდა თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში 2012 წლის ყველაზე გახმაურებული ამბის, „ციხის სკანდალის“ ვიზუალიზება. სკანდალის, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა საქართველოში ხელისუფლების საარჩევნო გზით შეცვლაში, რასაც მოწმობს NDI-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის, ლუის ნავაროს, 2012 წლის 29 ოქტომბერს გაკეთებული განცხადება: „არჩევნებში გადამწყვეტი როლი „ციხის სკანდალმა“ შეასრულა. ამომრჩევლებს, რომლებმაც არჩევნებამდე რამდენიმე ხნით ადრე არ იცოდნენ, ვისთვის მიეცათ ხმა, კონკრეტული გადაწყვეტილება ციხის სკანდალმა მიაღებინა, სწორედ ამ ადამიანებმა დაიკავეს პოლიტიკური ცენტრი“.

ჩვენთვის საინტერესოა, საზოგადოებისთვის ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტის გაშუქებისას მაშინდელი ბეჭდვითი მედია ვიზუალიზების რომელ ხერხს ანიჭებდა უპირატესობას, რათა გაემდიდრებინა ვერბალური კოდით გადმოცემული ინფორმაცია, ამიტომ სემიოტიკურ ანალიზზე დაყრდნობით, შევეცადეთ, შეგვესწავლა, რა დამატებით ინფორმაციას აწვდიდა მკითხველს არავერბალური კოდით გადმოცემული ქვეტექსტური მნიშვნელობები.

კვლევის ემპირიულ ბაზას შემდეგი ჟურნალ-გაზეთები წარმოადგენს: „24 საათი“, „რეზონანსი“, „კვირის პალიტრა“, „პრაიმ ტაიმი“, „ასავალ-

დასავალი”, „ტაბულა” და „ლიბერალი”. მათი შერჩევა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით მოვახდინეთ: ამ გამოცემების მაღალი ტირაჟით, სტაბილურობითა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელებით; კომუნიკაციის განსხვავებული ფუნქციითა და მიზნით; სარედაქციო დამოუკიდებლობის სხვადასხვა ხარისხით; გამომსახველობითი საშუალებების სიჭარბით, კერძოდ, სტატიების მრავალფეროვანი ფოტოგაფორმებით.

როგორც აღვნიშნეთ, ანალიტიკურ მიდგომად ვიყენებთ სემიოტიკურ ანალიზს, კერძოდ, მითების ანალიზს, ხოლო საკვლევ ტექნიკად - კონტენტანალიზს. სემიოტიკური ანალიზი საშუალებას იძლევა, რომ არავერბალური კოდებით გადმოცემული ინფორმაციის დეკოდირებისას გამოიკვეთოს როგორც ექსპლიციტური, ასევე კონოტაციური მნიშვნელობები. აღნიშნულ ჟურნალ-გაზეთებში „ციხის სკანდალის” საილუსტრაციოდ გამოყენებულია თემატური ფოტოები, გასაშუქებელ ინფორმაციასთან კონცეპტუალურად დაკავშირებული, სიტუაციის ამსახველი და პირადული ფოტოები, რაც, ახდენს რა რეალობის დენოტაციას, მეტი დამაჯერებლობით ტვირთავს შეტყობინებას. აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით თემატური ფოტოს შექმნისას, სოციალურ-კულტურული კოდების გარდა, ამოქმედებულია ინტერტექსტუალური მნიშვნელობებიც, რაც ერევა კონოტაციების შექმნაში და აძლიერებებს იმპლიციტურ მნიშვნელობებს.

ასევე, ვიზუალური სახის შესაქმნელად გამოყენებულია ციფრულ-გრაფიკული ხერხი, კერძოდ, ცხრილი, რომელიც მკითხველს ამბის ობიექტურად გადმოცემაში უნდა არწმუნებდეს. თუმცა, განხილულმა მაგალითმა ნათელყო, რომ სტატისტიკურ მონაცემებზე არასწორად დასმული აქცენტები პირიქით, აბნევს მკითხველს და ობიექტურობის ნაცვლად ზრდის არასანდოობის კოეფიციენტს.

სემიოტიკურ ანალიზზე დაყრდნობით, გამოვიკვლიეთ ის მითები, რომლებსაც ჩვენ მიერ შესწავლილი ჟურნალ-გაზეთები ქმნიდნენ იკონური და ვერბალური კოდების ურთიერთმიმაგრებით ეგრეთ წოდებული „ციხის სკანდალის“ ვიზუალიზებისას. მითების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი იმპლიციტური მნიშვნელობები განვათავსეთ გადაუდებელი კოდირების სისტემაში.

გამოიკვეთა, რომ ჩვენ მიერ შესწავლილ მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული ვიზუალური ინფორმაცია „ადამიანის უფლებების დაცვისათვის ბრძოლის“ უფრო მეტად მშვიდობიანი ფორმის ილუსტრირებას ახდენს, ვიდრე აგრესიულის. რაც შეეხება ვიზუალური შემადგენლის კონტაქტური მნიშვნელობებით მაშინდელი ხელისუფლებისადმი (ნაციონალური მოძრაობის მმართველობისადმი) გამოსატყულ დამოკიდებულებას, აშკარაა, რომ უმეტესად ნეგატიურია, ლოიალობა კი იშვიათად იკვეთება. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო, შეგვესწავლა ვიზუალიზებული ინფორმაცია იმპლიციტურად რამდენად მოუწოდებდა მკითხველს საპროტესტო აქციებში ჩართულობისკენ. კვლევამ აჩვენა, რომ იკონურ შემადგენელში სიმბოლიზებული ინფორმაცია უფრო ხშირად წარმოაჩენს მედიასაშუალებების ანგაჟირებულ სახეს, ვიდრე არაანგაჟირებულს.

## **ამირან ბერძენიშვილი**

პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **სოციალური მოძრაობის თავისებურება ქართულ სოციუმში**

ქართული საზოგადოება როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანა უცილობელი მოდერნიზაციის გამოწვევების წინაშე დგას. თუ ქართულ საზოგადოებაში არსებობს ისეთი სოციალური ძალები, რომლებსაც სურთ ფეხი აუწყონ თანამედროვე მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების განვითარების მიმართულებით სვლას, მაშინ მათ ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული სისტემების მოდერნიზება ისე უნდა შეძლოს, რომ დიდი შეფერხებებისა და წინააღმდეგობების მიუხედავად, ქვეყნის თვითკმარი და საკუთარი კულტურული იდენტობის მატარებელი სოციუმის მიმართულებით განვითარება წარმატებით/ეფექტიანად განხორციელდეს. ქართულ საზოგადოებაში მოდერნიზება ძირითადად იმ რეფორმების მეტ-ნაკლები წარმატებით გატარების გზით ხდება, რომელთა ძირითადი აქტორი პოლიტიკური, პირველ რიგში, სახელისუფლო ძალებია. მაგრამ განვითარებული სოციალური მოძრაობის, სამოქალაქო აქტივიზმის გარეშე, მხოლოდ პოლიტიკური ძალები საზოგადოების მოდერნიზაციის რელსებზე წარმატებით გადაყვანას ვერ შეძლებს. სტატიაში ნაცადია ქართულ სოციუმში იმ სოციალურ აქტორთა მოძიება და მათი ფუნქციონირების თავისებურებების განსაზღვრა, რომლებიც მოწოდებულია სოციუმის მოდერნიზაციაში გადამწყვეტი თუ არა მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს. ამ მიზნით, სოციალური მოძრაობის მკვლევართა თეორიული შრომების ანალიზის საფუძველზე მოცემულია მოდელი, რომლის მიხედვითაც დგინდება სოციალური მოძრაობის ცხოველქმედებისა და განვითარების სტადიები, შესაბამისად ის როლიც, რომელიც განვითარების ამა თუ იმ საფეხურზე მდგომ

სოციალური მოძრაობის რომელიმე კონკრეტულ ძალას შეუძლია შეასრულოს.

ავტორი მიმოიხილავს თანამედროვე ქართულ სოციუმში არსებულ მეტ-ნაკლებად ავტორიტეტულსა და აქტიურობით გამორჩეულ სოციალური მოძრაობის რამდენიმე დაჯგუფებას, რომლებიც საზოგადოებას გააქტიურებისა და არსებული ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური და კულტურული პრობლემების ეფექტიანი გადაჭრისკენ მოუწოდებენ, რითაც ქართული საზოგადოების მოდერნიზაციის საქმეს ხელს უწყობენ.

ნაკვლევი ქართული სოციალური მოძრაობის ისეთ წარმომადგენელთა ქმედების სტრატეგია და ტაქტიკა, როგორებიცაა: „მწვანეთა მოძრაობა“, „მწვანე მუშტი“, „ლაბორატორია 1918“, „ქართველი ფემინისტები“, „აუდიტორია 115“, „ეთერი ხმაური“, „ფაბიანელები“, „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი“, „არა ოკუპაციას“, „ქართული მარში“ და სხვა.

ანალიზის შედეგად კეთდება დასკვნა, რომ თითოეული მათგანი, საკმაოდ სუსტია და სოციალური მოძრაობის განვითარების პირველ სტადიაზე – სოციალური შფოთისა და მღელვარების, პრობლემის გაცნობიერების, შფოთისა და განგაშის ატეხვის ეტაპზე იმყოფებიან და ძირითადად პროტესტულ ხასიათს ატარებენ. მიუხედავად იმისა, რომ დღეს ინფორმაციულ-ციფრულ ეპოქაში ინტერნეტი-სოციალური ქსელები სოციალურ აქტორებს დიდ გასაქანს აძლევს, ხშირად აქტივობის მოწოდებები მხოლოდ ვირტუალურ სფეროში რჩება. ამის მიზეზი კი საბჭოური მენტალიტეტის მემკვიდრეობაში უნდა ვეძებოთ, სადაც სამოქალაქო აქტივობების ტრადიციები თითქმის არ არსებობდა. თუმცა სოციალური მოძრაობის ქმედების ეფექტიანობის ზრდა, ერთი მხრივ, ახალგაზრდა თაობების აქტივიზმის გაძლიერების და მეორე მხრივ, მათ მიერ სოციალური ქსელების გონივრული გამოყენების მიმართულებით მიდის, რასაც მოძრაობის მესვეურნი

კარგად აცნობიერებენ და შესაბამისადაც იყენებენ. დასკვნით ნაწილში გამოთქმულია მოსაზრება, რომ სამომავლოდ სოციალური მოძრაობა გაძლიერდება და მისი გავლენა ქართულ სოციუმში კიდევ უფრო გაიზრდება, რაც ხელს შეუწყობს იმას, რომ მოდერნიზაციის ერთ-ერთი მძლავრი აქტორი მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდება და ქართული საზოგადოების თვითკმარ სოციუმად მოდერნიზების ამოცანა წარმატებით გადაიჭრება.

## **ნათელა დონაძე**

ასოცირებული პროფესორი  
ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ქალთა ისტორიების ნარატიული ანალიზი**

XXI საუკუნის საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ქალების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული, სამართლებრივი და სხვ. მდგომარეობის შესწავლისა და მათი სოციალური ხასიათის ტიპების დადგენის მიზნით, გავაანალიზე საქართველოში 2017 წელს კავკასიის ბარომეტრის ფარგლებში ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის შედეგები და ქალთა ისტორიები (50 ამბავი), მოთხრობილი ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“ ქალთა ეროვნული პროგრამის კონკურსის - „რაიონში მცხოვრები ქალების ინიციატივის მხარდაჭერა“-მონაწილეთა მიერ.

რეგიონებში მცხოვრები ქალების სპეციფიკის შესასწავლად კვლევის შედეგები დათვალიერებული კვლევაში გათვალისწინებული დასახლების სამი ტიპის მიხედვით: დედაქალაქი, რეგიონული ურბანული და სოფლის დასახლებები. გამოიკვეთა, რომ ბევრი ნიშნით დასახლების ტიპი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქალების როგორც სოციალურ და ეკონომიკურ, ისე კულტურულ თუ ემოციურ მდგომარეობაზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სოფლად მცხოვრები ქალების უფრო დიდ წილს აქვს შემოსავალი (ეს შემოსავალი შედარებით დაბალია და ძირითადად 100 დოლარამდეა), ვიდრე რეგიონულ საქალაქო დასახლებებში ან დედაქალაქში ცხოვრებ ქალებს. თუმცა ზოგადად ოჯახების ეკონომიკური მდგომარეობა სოფლად შედარებით უფრო დაბალია, ვიდრე ქალაქურ დასახლებებში და თბილისში. სოფლად მცხოვრები ქალები გაცილებით უფრო უარყოფითად აფასებენ თავიანთ ჯანმრთელობის მდგომარეობას, ვიდრე დასახლების სხვა ტიპებში მცხოვრებნი.



ბედნიერების განცდის მიხედვით, სოფლად მცხოვრებ ქალებს ნაკლებად ბედნიერად მიაჩნიათ თავიანთი თავი. კვლევის შედეგებით ჩანს, რომ ინტერნეტთან დაკავშირებულ აქტივობებში, კულტურულ ღონისძიებებსა და სამოქალაქო აქტივობაში დედაქალაქში მცხოვრები ქალები ყველაზე უფრო მაღალი ჩართულობით გამოირჩევიან; ხოლო ეს მაჩვენებელი სოფლის დასახლებებში ყველაზე დაბალია. თუმცა არჩევნებში მონაწილეობის მაჩვენებელი სოფლად ყველაზე მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქალებში გაცილებით მაღალია მთავრობისგან მიტოვებულობის განცდა.

ქალთა ისტორიების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რეგიონებში არსებული ბევრი პრობლემა, რომლებზეც ისტორიების ავტორები განსაკუთრებით ამახვილებენ ყურადღებას: რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობები, უმუშევრობა, მიგრაცია, ძალადობა ოჯახში, გენდერული დისკრიმინაცია, განათლებისა და ინფორმირებულობის დაბალი დონე, ეიჯიზმი და სხვ. ავტორთა დიდი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ რეგიონებში (განსაკუთრებით სოფლად) უფრო ნათლად ჩანს ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების შედეგები. ზოგიერთ რაიონში არსებულ სიტუაციას ართულებს იქ ჩასახლებული იძულებით გადაადგილებულთა და ეკო-მიგრანტთა დიდი რაოდენობა.

სოფლად მცხოვრები ქალების დიდი უმრავლესობა, მათი ცხოვრების წესიდან გამომდინარე, არის ტრადიციით მართული და სხვა ღირებულებებს შორის ეს ღირებულებები წამყვან ადგილს იკავებს მათ ფასეულობათა სისტემაში. მაგალითად, კარგი მოქალაქისათვის მნიშვნელოვან ნიშან-თვისებად ტრადიციის დაცვა უფრო მნიშვნელოვნად არის შეფასებული, ვიდრე ეკონომიკურად გაჭირვებულ ადამიანთა დახმარება და არჩევნებში მონაწილეობა. განსხვავებული შედეგები მივიღეთ ქალთა ისტორიების ნარატიული გაანალიზების შედეგად: ქალთა ისტორიების ავტორები, არსებული პრობლემების გადაწყვეტის მიზნით აქტიურ მონაწილეობას იღებენ (ან

უნდათ, რომ მიიღონ) თავიანთი რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანია, ხელი შეუწყონ რეგიონებში მცხოვრებთა ქალთა დასაქმებას, მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ინფორმირებულობის დონის ამაღლებას, მათი უფლებების, გენდერული თანასწორობისა, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვ. მათი ამოცანაა სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება.

## კახა ქეცბაია

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### პოსტმოდერნი და საზოგადოების თვითმკვლევლობა

აბსტრაქტში განხილულია საზოგადოებისა და მისი შემსწავლელი მეცნიერების – სოციოლოგიის პოსტმოდერნული ტრანსფორმაციის საკითხი. მოცემულია პოსტმოდერნული საზოგადოების მოკლე დახასიათება, რომელშიც ხაზგასმულია ის, რომ ადამიანისა და საზოგადოების პოსტმოდერნულმა ტრანსფორმაციებმა თანამედროვე სოციოლოგია ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა, რამაც აუცილებელი გახადა ალტერნატიული სოციოლოგიის ჩამოყალიბება ე. წ. პოსტსოციოლოგიის სახით, რომლის თეორიულ მოდელს ჟ. ბოდრიარი იძლევა. მის მიხედვით, პოსტმოდერნისტულ დისკურსში სოციოლოგია არსებობს არა როგორც ეპისტემოლოგია, არამედ ზოგადად საზოგადოების თეორია. მსგავსი ტრანსფორმაცია შეეხო ცოდნისა და მეცნიერების მთელ სისტემას. თანამედროვე საზოგადოება ტრანს-საზოგადოებად გადაიქცა და შესაბამისად სოციოლოგია ვერ შეისწავლის მას. პოსტ-საზოგადოება უნდა გაანალიზდეს პოსტ-სოციოლოგიის მიერ, რომელიც ახალი განზომილების სოციოლოგია იქნება, თუმცა ბევრი თანამედროვე მეცნიერი მიიხნევს, რომ ეს სოციოლოგიის სიკვდილია, რაც ალბათ არ არის სწორი.

პოსტ-თანამედროვე საზოგადოების მოკლე დახასიათების საფუძველზე შეგვიძლია ვკითხოთ, არის თუ არა ეს ყველაფერი მსოფლიო ცივილიზაციის განადგურების (არა მარტო მორალური თვალსაზრისით, არამედ ფიზიკური არსებობის თვალსაზრისითაც) ნიშანი და პოსტ-მოდერნიზმის სახით ე.წ. ცივილიზაციურ თვითმკვლევლობასთან ხომ არ გვაქვს საქმე. პოსტმოდერნიზმის მიხედვით, ტრადიციული საზოგადოება და ადამიანი დასრულდა, ამიერიდან ისინი არსებობენ საკუთარი ვირტუალური წესებით. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს წესები აბსოლუტურად მიუღებელია

რეალური საზოგადოებისთვის და ვირტუალურის დომინირება დიდხანს გაგრძელდება. ყოველივე ამით იქმნება შთაბეჭდილება, რომ პოსტმოდერნული მდგომარეობით საზოგადოება თვითმკვლევლობას ჩადის (თითქოს ხარაკირს იკეთებს). თუ როგორ შეიძლება ამ მხრივ განვითარდეს მოვლენები და სხვა რა სიურპრიზები გველოდება წინ, ამას, ალბათ, დრო გვიჩვენებს.

## **რევაზ ჯორბენაძე**

პროფესორი

## **თეონა მატარაძე**

ასოცირებული პროფესორი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **ახალი და ძველი ტიპის სამეზობლოებში მობინადრეთა ტერიტორიული იდენტობა თბილისის მაგალითზე**

საქართველოს დედაქალაქის, თბილისის ამჟამინდელი განვითარება და გაფართოება დიდად არის დაკავშირებული ქვეყნის საბჭოთა წარსულთან. ქალაქის დასახლებების სტრუქტურა განისაზღვრა საბჭოთა მიდგომით, რათა შეექმნა სტანდარტული დასახლებები მთელ ქვეყანაში. ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში, ეკონომიკური სიძნელებისა და პოლიტიკური არასტაბილურობის გადალახვის შემდეგ, ქვეყნის დედაქალაქის განვითარება მოხდა ახალი მშენებლობების მომრავლების ხარჯზე, რომელიც საბჭოთა სტილის დასახლებების გვერდით ან შიგნით მიმდინარეობდა. ახალი ტიპის კომპლექსები თავისი მენეჯმენტით ძველი დასახლებებისგან განსხვავებულ ურბანულ სივრცეს ქმნის. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანია ვიკვლიოთ მოსახლეობის ტერიტორიულ იდენტობა, რომელსაც ემოციური, კოგნიტური და მოტივაციური ფაქტორები გააჩნია. მოხსენება ეფუძნება 2017 წელს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ დაფინანსებულ მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კვლევას.

მოხსენების მიზანია წარმოაჩინოს თბილისის ახალი და ძველი ტიპის განაშენიანებების მაცხოვრებლების ტერიტორიული იდენტობები. მოხსენების ფარგლებში ასევე განხილული იქნება თბილისის

მაცხოვრებელთა მიერ კონკრეტული დასახლებების არჩევის მოტივაციები, სამეზობლო თემის არსებობის ან ჩამოყალიბების პერსპექტივა, სივრცის მართვის სასურველი მოდელები და მათ ბინასთან, დასახლებასთან თუ ქალაქთან დაკავშირებული პრობლემები. იმისათვის, რომ ვაჩვენოთ სხვადასხვა ტიპის დასახლების მაცხოვრებთა იდენტობის განსხვავებული კოგნიტური და მოტივაციური ფაქტორები, ჩვენ გავზომეთ რესპონდენტების ღირებულებებით ორიენტაციები მემარჯვენეობა-მემარცხენეობის, ავტორიტარიზმი-ლიბერალიზმის, გარემოს დაცვითი და გენდერული უთანასწორობის საკითხების მიმართ.

კვლევის დიზაინი ითვალისწინებდა ინტერდისციპლინურ მიდგომებს და სხვადასხვა მეთოდის კომბინაციას. პირველ ეტაპზე გაანალიზდა სამეცნიერო ლიტერატურა. მეორე ეტაპზე ჩატარდა თვისებრივი კვლევა ფოკუს ჯგუფებისა და სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდების გამოყენებით. მიღებული მასალის ანალიზის შედეგად ჩამოყალიბდა რაოდენობრივი კვლევის სტრუქტურირებული კითხვარი. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე შერჩევა იყო კვლევითი და ითვალისწინებდა სამი ტიპის დასახლების მაცხოვრებელთა იდენტობის შედარებას: ძველი საბჭოთა დასახლების, ახალი განაშენიანებისა და ახალი შემოსაზღვრული განაშენიანებისას. სამივე ტიპის დასახლება შერჩეული იყო თბილისის საბურთალოს რაიონიდან, რათა თავიდან აგვეცილებინა ქალაქის სივრცობრივ განაწილებასთან დაკავშირებული სხვა დამოუკიდებელი ცვლადების გავლენა. მონაცემები გაანალიზდა ერთ, ორ და მრავალგანზიმილებიანი სტატისტიკური ანალიზის მეთოდებით.

## ამირან ბერძენიშვილი

პროფესორი

## ილონა გოგია

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### სტუდენტების ციფრული წიგნიერების დონის კვლევა

მე-20 საუკუნის ბოლო მეოთხედიდან დაწყებული, მსოფლიოში რთული სოციალური ტენდენციები გაჩნდა. მცირდება ტრადიციული ტექნოლოგიების მნიშვნელობა და ახალი - ინფორმაციული, სოციალური, ინტელექტუალური - ტექნოლოგიების როლი კი იზრდება, მთლიანად მსოფლიოს და ცალკეულ საზოგადოებათა განვითარების ძირითადი ფაქტორები: ადამიანური პოტენციალი/უნარები, სოციალური კაპიტალი, მეცნიერული ცოდნა ხდება.

ცოდნის წარმოებისა და მოხმარების საფუძველზე თანამედროვე სამყაროს განვითარების ინფორმაციულ ფაზაზე გადასვლა მიმდინარეობს-ხორციელდება. ინტელექტზე და ცოდნაზე დამყარებული ახალი სოციალური რეალობა სტიქიურად ყალიბდება და ახალი - ინფორმაციული - ეპოქის ყველა მახასიათებელს ავლენს.

ცოდნის საზოგადოების ძირითად მახასიათებელს კი - ოცდამეერთე საუკუნის ადამიანის მისწრაფება მთელი ცხოვრების ცოდნის საწყისებზე აგება წარმოადგენს. ცოდნა შეიძლება განვსაზღვროთ როგორც „ქმედების უნარი“, როგორც რაღაცის მოძრაობაში მომყვანი შესაძლებლობა. მეცნიერული და ტექნოლოგიური ცოდნა უწინარეს ყოვლისა საქმიანი-ქმედითი უნარია. დღეს მეცნიერებაში და მისი მეშვეობით ეყრება საფუძველი ახალ სამყაროს, სადაც ცოდნა ყველა სფეროში და მზარდი ზომით ადამიანური ქმედების საფუძველი და

წარმართველი პრინციპი ხდება. ამგვარად, ცოდნის სფეროდან გამოირიცხება ყოველივე ის, რაც „მოქმედების უნარს“ არ აძლიერებს და ამაღლებს, რაც ნივთების „მოძრაობაში მოყვანის“ ინსტრუმენტს არ წარმოადგენს, რაც სამყაროს გარდაქმნას და განვითარებას ხელს არ უწყობს.

ცოდნის თეორიული ფორმები საზოგადოებრივი, კოლექტიური და ინდივიდუალური - პირადი ცხოვრების ყველა რეგიონსა თუ კუთხე-კუნჭულში იჭრება. შესაბამისად, იზრდება იმ პროფესიათა ჩამონათვალი, რომელიც ცოდნაზე დაფუძნებულ შრომას, ხოლო ისეთ სამუშაოთა რაოდენობა, რომლებიც შეზღუდულ კოგნიტურ უნარებს მოითხოვს, სწრაფად მცირდება. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ მატერიალურ წარმოებაში სულ უფრო ნაკლები ადამიანია დასაქმებული. ამგვარად, თანამედროვე მსოფლიოში მხოლოდ ის საზოგადოება ვითარდება, რომელიც „ცოდნით ახალ ცოდნას აწარმოებს“ (მ. კასტელსი), ხოლო ის საზოგადოება, რომელიც არსებული ცოდნის ფარგლებში შრომის ტრადიციული ფორმების კვლავწარმოებაზეა ორიენტირებული „მეოთხე მსოფლიოს“ რიგებს ავსებს და ყველაზე იაფი მუშახელის მიმწოდებელი ხდება.

უკანასკნელი წლების განმავლობაში მეცნიერები აქტიურად იკვლევენ თუ რა უნარები და ცოდნა უნდა ჰქონდეს ადამიანს ცოდნის საზოგადოებაში.

თანამედროვე ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ციფრული ტექნოლოგიების სათანადოდ გამოსაყენებლად, აუცილებელი დონისა და უნარების ათვისებაა. ამ ახალ უნარებს მკვლევარები ციფრულ უნარებს ან ციფრულ წიგნიერებას უწოდებენ. ციფრული წიგნიერება სხვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზებისა და გამოყენების უნარია. ციფრულ კომპეტენციას სოციალური მეცნიერებების წარმომადგენლები



როგორც ცოდნის, უნარების, დამოკიდებულებების, მოტივაციისა და პასუხისმგებლობების ერთობლიობას განსაზღვრავენ.

სტუდენტების ციფრული წიგნიერების/კომპეტენციის დონის კვლევის მიზანს წარმოადგენდა, ციფრული კომპეტენციების, კერძოდ, იმ ცოდნისა და დამოკიდებულებების შესწავლა, რომლითაც ისინი ციფრულ ტექნოლოგიებთან ურთიერთობის დროს ოპერირებენ. კვლევის მიზნის მისაღწევად დასახული იქნა შემდეგი ამოცანები: 1. სტუდენტების ციფრული კომპეტენციების დონის განსაზღვრა. 2. ინტერნეტის და სოციალური ქსელების გამოყენების სიხშირე და მოტივაცია. 3. მათი დამოკიდებულება ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების მიმართ. 4. ყველაზე ხშირად გამოყენებადი კომპიუტერული პროგრამები და აპლიკაციები. 5. ინფორმაციული უსაფრთხოებისა და ინტერნეტში მოქმედების ეთიკური საკითხები.

კვლევის მიზნის მისაღწევად სტუდენტების ციფრული წიგნიერების დონე რაოდენობრივი კვლევის მეთოდის გამოყენებით იქნა შესწავლილი. რაოდენობრივი კვლევა ჩატარდა გამოკითხვის, კერძოდ, პირისპირ ინტერვიუების მეთოდის მეშვეობით. კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა კითხვარი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო ათი უმაღლესი სასწავლო დაწესებულების სტუდენტმა. გამოყენებული იქნა სტრატეგიცირებული შერჩევა.

კვლევის შედეგების მიხედვით აღმოჩნდა, რომ სტუდენტები ინტერნეტის აქტიური მომხმარებელია, კერძოდ მთელი დღის მანძილზე ინტერნეტით გამოკითხულ სტუდენტების ნახევარზე მეტი სარგებლობს.

ციფრული კომპეტენციების და ინტერნეტ კომპეტენტურობის განვითარებასთან მიმართებაში საგულისხმოა ის, რომ სტუდენტების უმრავლესობამ ინტერნეტისა და კომპიუტერის გამოყენება არა სკოლაში და სკოლის მეშვეობით, არამედ თავისით შეისწავლა.

ინტერნეტში განხორციელებული აქტივობების, როგორც ციფრული წიგნიერების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორის მიხედვით, აღმოჩნდა, რომ სტუდენტების უმრავლესობა ყოველდღიურად ინტერნეტით სარგებლობის დროს კულტურულ-საგანმანათლებლო და კომუნიკაციური პრაქტიკების განხორციელებითაა დაკავებული. სტუდენტები სოციალური მედიის აქტიური მომხმარებლები არიან, რაც ფოტო და ვიდეო კონტენტის რეგულარულ შექმნას და ინტერნეტში განთავსებას ნიშნავს და არა ახალი ცოდნის მოპოვებას, გაანალიზებას და სინთეზირებას.

თუ ცოდნა თანამედროვე საზოგადოების კონსტიტუციურ თავისებურებად თუ მახასიათებლად ნამდვილად იქცევა, მაშინ მისი წარმოება, კვლავწარმოება, განაწილება და მოხმარება ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური დისკუსიების ცენტრში გარდაუვლად უნდა აღმოჩნდეს, რათა მეცნიერული ცოდნის წარმოება უპირატესი ყურადღებისა და ძალისხმევითა მობილიზების საგნად იქცეს, რომ ცოდნა ქართული საზოგადოების ყველა სფეროში ადამიანური ქმედების საფუძველი და წარმმართველი პრინციპი გახდეს.

## **თენგიზ ვერულავა**

პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

### **კეთილდღეობის სახელმწიფოს ესპინგ-ანდერსენისეული ტიპოლოგია და საქართველო**

სოციალური პოლიტიკა სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ეკონომიკის, საზოგადოებისა და პოლიტიკის იმ ასპექტებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანის სრულფასოვანი არსებობისათვის. ეს ძირითადი ადამიანური საჭიროებებია: საკვები და თავშესაფარი, მდგრადი და უსაფრთხო გარემო, ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადების მკურნალობა, იმ ადამიანებზე ზრუნვა და მხარდაჭერა, რომელთაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება, განათლება, რაც საშუალებას აძლევს მათ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

მე-20 საუკუნეში შემუშავებულ იქნა კეთილდღეობის სახელმწიფოს კონცეფცია, რომელშიც სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს ასრულებს თავისი მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე. ჯერ კიდევ ოტო ფონ ბისმარკმა შემოიღო სოციალური დაზღვევის სისტემა. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე კეთილდღეობის სახელმწიფოები ბისმარკის იდეებს ეყრდნობა, დროთა განმავლობაში თითოეულმა ქვეყანამ საკუთარი ტიპის კეთილდღეობის სახელმწიფო შექმნა.

მკვლევრები გამოყოფენ კეთილდღეობის სახელმწიფოს რამდენიმე მოდელს. დანიელმა სოციოლოგმა ესპინგ ანდერსენმა თავის ნაშრომში “კეთილდღეობის კაპიტალიზმის სამი სამყარო” (1990) შემოგვთავაზა ერთ-ერთი ასეთი ტიპოლოგია. სოციალური კეთილდღეობის დონის განსაზღვრისათვის ავტორმა შემოიღო ისეთი ცვლადები, როგორიცაა: დეკომოდიფიკაცია (Decommodification), სოციალური სტრატეფიკაცია

(social stratification) და სახელმწიფო-კერძო სექტორის ბალანსი (private-public mix). დეკომოდიფიკაცია გულისხმობს, თუ რამდენად არის პიროვნების უზრუნველყოფა დამოკიდებული ბაზარზე, განსაკუთრებით პენსიის, უმუშევრობის სარგებლისა და სამედიცინო დაზღვევასთან მიმართებით. რაც ნაკლებია დამოკიდებულება ბაზარზე, მით მაღალია დეკომოდიფიკაციის ხარისხი. სოციალური სტრატეფიკაცია გულისხმობს სოციალური უზრუნველყოფის სისტემის როლს საზოგადოების სტრუქტურის შენარჩუნებაში ან მის დანაწევრებაში, ანუ თუ რამდენად სოციალურად არაერთგვაროვანი, უთანასწოროა საზოგადოება. სახელმწიფო-კერძო სექტორის ბალანსი გულისხმობს ოთხი ინსტიტუტის – სახელმწიფოს, ოჯახის (სამოქალაქო), საზოგადოებისა და ბაზრის როლს სოციალურ უზრუნველყოფაში.

ამ ცვლადების საფუძველზე ესპინგ-ანდერსენმა გამოყო სამი სახის კეთილდღეობის სახელმწიფო: ლიბერალური ანუ ანგლო-საქსონური, სოციალ-დემოკრატიული ანუ სკანდინავიური და კონსერვატიული ანუ კონტინენტური რეჟიმები.

ლიბერალური რეჟიმის ქვეყნებში (აშშ, კანადა, ავსტრალია) სახელმწიფო უზრუნველყოფა შეზღუდული და საჭიროებაზე შემოწმებულია. სახელმწიფო ახდენს ბაზრის ხელსშეწყობას პერსონალური კეთილდღეობის სქემით.

კონსერვატიული რეჟიმები (გერმანია, ავსტრია, იტალია, საფრანგეთი) ეფუძნება კორპორატიზმსა და კათოლიკურ სოციალურ პოლიტიკას. ისინი აღიარებენ მოქალაქეების გარკვეული კეთილდღეობის უზრუნველყოფის ვალდებულებას პატერნალისტური მოსაზრებებიდან გამომდინარე, რომელიც მოითხოვს საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალური შედეგების კორექციას.

სოციალ-დემოკრატიული რეჟიმების (შვედეთი, დანია და ფინეთი) მიზანია მოქალაქეთა არამარტო მინიმალური მოთხოვნილებების, არამედ, ცხოვრების მაღალი სტანდარტების თანაბარი უზრუნველყოფა.

ამ მხრივ აქტუალურია საქართველოს კეთილდღეობის შეფასება ესპინგ-ანდერსენის ტიპოლოგიით. ამისათვის მოვახდინეთ 1991-2013 წლების პერიოდში საქართველოში კეთილდღეობის სხვადასხვა ასპექტების (საპენსიო უზრუნველყოფის და ჯანდაცვის სისტემები, შრომის ბაზრის პოლიტიკა და სოციალური სარგებლები) ანალიზი. კვლევამ აჩვენა სოციალური დაცვის სხვადასხვა დარგში პოლიტიკის მრავალფეროვნება. შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს ჯანდაცვისა და შრომის ბაზრის პოლიტიკა შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც ლიბერალური, საპენსიო სისტემა, როგორც სოციალურ-დემოკრატიული და სოციალური სარგებლების პოლიტიკა - როგორც კონსერვატიული.

2006 წელს განხორციელებული ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მთავარ პრინციპს შეადგენდა სექტორის სრული მარკეტიზაცია: კერძო მიწოდება, ლიბერალური რეგულირება და მინიმალური ზედამხედველობა. სახელმწიფო ჯანდაცვითი პროგრამები ვრცელდებოდა მოსახლეობის მხოლოდ გარკვეულ ჯგუფებზე: სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, კომპაქტურად დასახლებულ პუნქტებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული პირები, პედაგოგები. 2013 წლიდან მოქმედებს საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს მოსახლეობის უნივერსალურ მოცვას. ამგვარად, საქართველოს ჯანდაცვის პოლიტიკა შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც ლიბერალური, რომელიც ვითარდება სოციალ-დემოკრატიული მიმართულებით.

ამდენად, ესპინგ-ანდერსენის მიერ შემუშავებული სტაბილური (არასტაბილური) კეთილდღეობის სახელმწიფოს თეორია შეიძლება

გამართლებული იყოს და საქართველოს სახელმწიფო შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც ჰიბრიდული, არასტაბილური სოციალური პოლიტიკის ქვეყანა. თუმცა, ამ თეორიის საბოლოო დადასტურებისათვის საჭიროა შემდგომი კვლევის ჩატარება, რომელიც შეაფასებს 2013 წლიდან მიმდინარე რეფორმებს.

### **გერმანე გვარამია**

დოქტორანტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## **საქართველოში ტერორიზმის გამომწვევი კონფლიქტების ანალიზი და პრევენცია**

მოხსენების შესავალ ნაწილში ვიმსჯელებ ტერორიზმზე, როგორც საერთაშორისო გლობალურ საფრთხეზე, მის თანმდევ ნიშნებსა და მახასიათებლებზე (ცვალებადი, განგრძობადი, არაპროგნოზირებადი, მზარდი, მასშტაბური). სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით შევჩერდები სეპარატიზმზე, სახელმწიფო და რელიგიური ტერორიზმის გამომწვევ კონფლიქტებზე, რომელთა მიზანია სახელმწიფოს დასუსტება; მთავრობის ლეგიტიმაციისათვის საფრთხის შექმნა; მოსახლეობაში შიშისა და ძალადობის დანერგვა. შევეხები ტერორისტული საფრთხის მთავარ გამოვლინებას, რელიგიურ ექსტრემიზმს, რომლის გავრცელებასა და გაძლიერებას სხვადასხვა ჯგუფი ისახავს მიზნად ფინანსური რესურსებით, რადიკალური იდეოლოგიით, თანამედროვე ტექნოლოგიებითა და ე.წ. „გადამზირებლების“ გამოყენებით. ის პირდაპირ დაკავშირებულია ასიმეტრიულ საფრთხესთან ანუ საფრთხის მასშტაბებთან, რომლის შედეგები უცნობია და წინასწარ გამოთვლა შეუძლებელია. ტერორიზმის იდეოლოგია აქტორებს საშუალებას აძლევს თავიანთი მიზნების მისაღწევად ისეთ ძალადობრივ ქმედებებს მიმართონ, რომლებიც მიუღებელია მსოფლიოს მოსახლეობის მშვიდობიანი თანაარსებობისა და განვითარების უზრუნველყოფისათვის.

მოსხენებაში განვიხილავ საქართველოში ტერორიზმის გამომწვევ ძირითად ფაქტორებს, რომლებიც გამოწვეულია: ქვეყნის გეოპოლიტიკური სიტუაციით, მრავალეთნიკური მოსახლეობით, ოკუპირებული ტერიტორიებით, მოსახლეობის ცნობიერების ნაკლებობით, ქვეყანაში გამოვლენილი რადიკალური იდეოლოგიის გამავრცელებელ პირთა ჯგუფის არსებობით, საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ჩართულობით სხვადასხვა ტერიტორიული ორგანიზაციასა და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილის არასათანადო დაცულობით. კვლევის პროცესში ჩემ მიერ დამუშავებული თეორიული და პრაქტიკული მასალის ანალიზის საფუძველზე ჩამოვყალიბებ პრობლემის არსს: მიუხედავად იმისა, რომ საქართველო საერთაშორისო და შიდა საფრთხეებიდან გამომდინარე დიდი გამომწვევების წინაშე დგას სამოქალაქო საზოგადოებას სერიოზულად არ აქვს გაცნობიერებული არსებული საფრთხე.

ქვეყანა დიდი გამომწვევების წინაშე დგას, არასისტემურია არსებული პრევენციული ღონისძიებები, ჩვენს რეალობაში იშვიათად ხდება მოსალოდნელი საფრთხის წინასწარი განჭვრეტა და სათანადო გზების დასახვა, რასაც მოიაზრებს ტერმინი საფრთხის/დანაშაულის პრევენცია. პრევენციის შემთხვევაში ჩვენ ვასწრებთ პოტენციურ დამნაშევს და არ ვაძლევთ საშუალებას, სისრულეში მოიყვანოს თავისი ბოროტი განზრახვა. მარტო ხელისუფლება ვერაფერს გახდება, თუ მას მხარდაჭერა არ ექნება საზოგადოებისაგან. მართალია, როგორც საკანონმებლო ისე სოციალურ დონეზე მიღწეულია კონსენსუსი, რომ უსაფრთხოება პრიორიტეტია, რადგან ერთიან ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს, მაგრამ ეს მხოლოდ იდეის დონეზე. მკვეთრად ჩამოვყალიბებ ჩემს მთავარ სათქმელს: წინასწარ შემუშავებული კარგად აწყობილი, თანმიმდევრულად დაგეგმილი პრევენციული სისტემა უზრუნველყოფს საფრთხის დროულად გამოვლენას, შეფასებასა და შესაბამის რეაგირებას, რაც ქვეყნის უსაფრთხოების საიმედო გარანტიაა.

მოსხენების ბოლოს ყურადღება გამახვილდება ტერორიზმის ბრძოლის ისეთ მნიშვნელოვან ასპექტზე როგორცაა პრევენცია. ტერორიზმის მასშტაბი და მრავალფეროვნება დღის წესრიგში აყენებს ახალი, სრულყოფილი კონტროლების შემუშავებას. ტერორიზმთან ბრძოლაში მთელი ძალებით ჩაბმულნი არიან სახელისუფლებო სუბიექტები, კერძოდ, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, დაზვერვის სამსახური, თავდაცვის სამინისტრო თუ შინაგან საქმეთა სამინისტრო, თუმცა საკითხს უფრო კომპლექსურად სჭირდება მიდგომა. ახალი პრევენციული მუშაობის სისტემაში გამოიყოფა მისი შემადგენელი შემდეგი პრიორიტეტები: ტერორიზმის საფრთხეების შესახებ მოსახლეობაში ცნობიერების ამაღლება, განათლების მეშვეობით სამოქალაქო საზოგადოების მენტალობის შეცვლა, საზოგადოების დახმარებით ტერორიზმის იდეოლოგიასა და პროპაგანდასთან დაპირისპირება, მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია კერძო სექტორსა და სახელმწიფოს შორის, აგრეთვე საზღვარგარეთმოქმედი უსაფრთხოების კვლევის ცენტრებთან, საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების სისტემის დახვეწა.